ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 19 თებერვალი 2002 №26 (1548) | ფასი 50 თეთრი



# ნუ გვატყუებთ!

## გაფრინდაშვილს თვლას და კომბინაციას ვერ ასწავლით

საქართველო რომ პარადოქსების ქვეყანაა, ამაში გუშინაც დავრწმუნდით, როცა ჩვენი ქვეყნის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ნონა გაფრინდაშვილმა პრესკონფერენციაზე გვიხმო. ჭადრაკის სასახლეში მისულთ გვითხრა, დიდხანს ვყოყმანობდი, მომეწვია თუ არა ეს პრესკონფერენცია. ბოლოს მაინც ჩემი გულისტკივილის გაზიარება გადავწყვიტე, რადგან არ მინდა, საზოგადოება მოტყუებული დარჩეს. არც ის მინდა, ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე ჩემი მემკვიდრე იმავე პრობლემებს წააწყდეს, რომელსაც მე გადავეყარე.

ქალბატონმა ნონამ ისიც აღნიშნა, წლეულს ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე არჩევნებში მონაწილეობას აღარ ვაპირებ და ამ პრობლემებზე საუბარი ჩემი მხრიდან უფრო ობიექტური და სამართლიანი იქნებაო.

პრობლემები, რაღა თქმა უნდა, ფინანსებს უკავშირდება. გაფრინდაშვილი აღუშფოთებია პრესაში გამოქვეყნებულ იმ მონაცემებს, რომელიც საქართველოს სპორტის დეპარტამენტის მიერ სპორტულ ფედერაციებზე განაწილებულ თანხებს ასახავს. ის თანხები ამა თუ იმ ფედერაციაზე წარმატებათა მიხედვით განაწილდა.

ჩვენმა მოჭადრაკეებმა შარშან დიდი წარმატებით ითამაშეს მათ შორის ახალგაზრდების ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე, სადაც 7 ოქროს და ერთიც ვერცხლის მედალი მოიპოვეს. შარშაწინ სტამბოლში გამართულ ბოლო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ჩვენმა ქალებმა II, ხოლო ვაჟებმა VI ადგილი დაიკავეს, რაც საქართველოს პრეზიდენტმა დიდად შეაფასა. მასთან შეხვედრისას გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ჭადრაკის განვითარების პროგრამა და ხარჯთაღრიცხვა მომზადებულიყო. მომზადდა კიდეც, მაგრამ როგორც ქალბატონმა ნონამ გვითხრა, ამ საქმემ განვითარება ვერ ჰპოვა. ამიტომ გამიკვირდა, როცა სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ამ პროგრამით ჭადრაკის ფედერაციას 150 000 ლარი გამოეყოო. არადა, ამ თანხაშია ის 60 000 ლარიც, რომელიც ჩვენს მოჭადრაკეებს სტამბოლში ოლიმპიადაზე კარგად გამოსვლისთვის პრემიად უნდა მიეღოთ. ახლა რომ მიიღონ კიდეც, ეს III ადგილისთვის დაწესებული პრემიის საზღაურის ტოლფასი იქნება, რადგან მას მერე ლარის კურსი კვლავ დაეცა. იმ 150 000 ლარშია აგრეთვე კვების თანხა — 18 000 ლარიც. არადა, სხვა ფედერაციებისთვის გამოყოფილ თანხებში, რომლებიც გამოქვეყნდა, კვების ხარჯები არ ირიცხება და იგი ცალკე იანგარიშება.

წლეულს გვლის საჭადრაკო ოლიმპიადა, რაც ასევე გათვალისწინებული არ არის გამოყოფილ ბიუჯეტში.

— ერთი სიტყვით, სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ან თავს იტყუებს, ან ჩვენც გვატყუებს, ქვეყნის პრეზიდენტსაც და საზოგადოებასაც, მაგრამ ვერ მოგვატყუებს — აღშფოთებას ვერ ფარავს ნონა გაფრინდაშვილი.

აი, ძირითადად ამ პრობლემაზე ისაუბრა ნონა გაფრინდაშვილმა, მერე კი მას რამდენიმე კითხვითაც მივმართეთ.

**— საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, როცა ფედერაციებზე თანხები გაანაწილა, თქვა, ვიცი, ეს სახსრები არავის ეყოფა, მაგრამ რაც გამოგვიყვეს, იგი სამართლიანად გავანაწილეთ. ამაზე თუ ვინმეს პრეტენზიები ექნება, მზად ვარ ჩვენს სამართლიანობაში დაარწმუნოო. თქვენ თუ ესაუბრეთ თავმჯდომარეს?**

— არა, რა აზრი ჰქონდა?! თავადაც კარგად იცის, რომ ჩვენთვის რეალურად ის 150 000 ლარი არ გამოუყვიათ.

**— ფედერაციის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარს რატომ ამბობთ?**

— კაცმა რომ თქვას, აქ მუშაობით უკმაყოფილო არ ვარ, მაგრამ ძალზე ბევრი ენერგია დავხარჯე და ნერვებიც ვიწყვიტე. თანხის გამოსანახავად ქვეყნის პრეზიდენტსა და ფინანსთა მინისტრს მოსვენება დავუკარგე, ლამის ორ დღეში ერთხელ ვურეკავდი.

**— თანხა რომ სრულად გამოეყოთ, მაშინ თუ დარჩებოდით?**

— არა! ამ პოსტზე ჩემი არჩევა ჩემი კოლეგების თხოვნით გადავწყვიტე იმ პირობით, რომ ორ წელიწადს ვიმუშავებდი. ასე რომ, ახლა წასვლის დრო მოვიდა. მეც წავალ და ნერვებსა და ენერგიას საკუთარ თავს მოვახმარ.

**— ფედერაციის პრეზიდენტობიდან წასვლის მერე რას აპირებთ?**

— აქედან წასვლა სპორტიდან წასვლას სულ არ ნიშნავს. მე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტიც ვარ. ასე რომ, სპორტში ვრჩები და ჩემს გემოზე ვიქნები.

**— თქვენს მემკვიდრეობას ვინ აპირებს?**

— ჯერჯერობით ასეთ სურვილს გამოთქვამენ ნინო გურიელი და ამჟამინდელი თანაპრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი. მათ სურთ ისევ გაგრძელდეს პრეზიდენტ-თანაპრეზიდენტობის ტანდემი.

**— ამას რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს?**

— ამაზე საუბარი არ მინდა. თუმცა იმას კი ვიტყვი, რომ დადებითი ისაა, რომ მათ ასე უნდათ. ამით ფედერაციაში სიწყნარე იქნება და ესეც დადებითია.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ოლიმპიადა შენია

# ოლე! ოლე! ოლე!

*უქმეებმა სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიადაზე ნაყოფიერად ჩაიარა. თითქმის ყველა პროფესიის ათლეტებმა მოასწრეს ძალთა მოსინჯვა. ოლიმპიური დედაქალაქის სიახლოვეს, ეგრეთ წოდებულ „ჯარისკაცის ქვაბულში" ბარის მოთხილამურეთა დრამატული ესტაფეტა გაიმართა და ნორვეგიამ წამის მეათედებით იტალიას აჯობა, კურორტ სნოუბეიზინის ფერდობებზე ჩქარი სრიალის მოყვარულები ჩამოჰქროდნენ: თუ ვაჟთა სუპერგიგანტში ნორვეგიელი კეტილ ანდრე ამოდტის პირველობა ბევრს არ გაკვირვებია, ქალთა იგივე დისციპლინა დანიელა სესარელიმ მოიგო და უჩინარი იტალიელი გოგო ერთბაშად სპორტის ისტორიის ფურცლად იქცა. ბიათლონში მაქსიმუმით სვლა განაგრძო ნორვეგიელმა ოლე ეინარ ბიორნდალენმა, რომელსაც ერთ ოლიმპიადაზე სამი ოქროს მედალი უკვე ჩამოჰკიდეს და მეოთხის შანსიც აქვს. ქალთა ციგურაობაში, 1000 მეტრზე რბოლა კი დაინარჩუნა ამერიკელმა კრის უიტიმ, რომელიც არცთუ ჯანმრთელი სრიალებდა.*




დანიელა სესარელი




ოლე ეინარ ბიორნდალენი

# ვაა, სეროჟ?!

*დღეს საღამოს ტრადიციად ქცეული რამ მოხდება, ტელევიზორს მივუსხდებით და ჩემპიონთა ლიგას ვუყურებთ.*

*ლიგამ გამოიზამთრა და საგაზაფხულო ეტაპი იწყება, ეს კი საშემოდგომოზე უფრო საინტერესოა. მიზეზი? რამდენიც გნებავთ: შემოდგომაზე გუნდებს მხოლოდ იმდენი მოეთხოვებათ, გაზაფხულამდე რომ მიაღწიონ, ახლა კი მათ შესაძლებლობების სრულად გამოვლენა მართებთ; თავად გუნდებიც ოცდათორმეტნი აღარ არიან, როგორც ეს შემოდგომაზე იყო და, მაშასადამე, უინტერესო თამაშებიც ფაქტობრივად აღარ იქნება; ბოლოს და ბოლოს, მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდება და ნაკრების მწვრთნელთა გაფაციცებული თვალთახედვის არეში მოხვედრილი ფეხბურთელებიც ერთი-ორად მოინდომებენ...*

*თუმცა მეორე მხრივ, ნამდვილ გაზაფხულამდე ჯერ ადრეა.*

*მეორე ჯგუფური ეტაპის დღევანდელი და ხვალინდელი მესამე ტური უფრო გასახურებელი იქნება, ნამდვილი ცხელება კი მერე დაიწყება.*

იხილეთ მეათე გვერდი




სერხიო მარქარიანი „პანათინაიკოსთან" ერთად ლიგის მარაქაში გაერია

# სქოთებმა გვარამაძე მოიწონეს და არ დაიტოვეს


დავით გვარამაძე

**საქართველოს** ნაკრებისა და ქუთაისის „ტორპედოს“ მეკარე დავით გვარამაძე შაბათს შოტლანდიიდან თბილისში დაბრუნდა და თავის კლუბს უახლოეს დღეებში შეუერთდება.

გვარამაძე შოტლანდიას ერთი კვირის წინ გაემგზავრა და სქოთთა პრემიერლიგაში მეთერთმეტე ადგილზე მყოფ „ჰიბერნიანის“ ხელმძღვანელობისთვის ცდილობდა თავის მოწონებას. ქართველმა მეკარემ შოტლანდიურ კლუბთან ერთად რამდენჯერმე ივარჯიშა, ერთ ამხანაგურ მატჩშიც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ „ჰიბერნიანმა“ ის არ დატოვა. ზუსტი მიზეზი ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია, თუმცა, ამბობენ, „ტორპედომ“ თავისი ფეხბურთელი „ჰიბერნიანს“ ძვირიად დაუფასაო.

— გვარამაძე შოტლანდიაში რომ ჩამოვიდა, „ჰიბერნიანის“ ხელმძღვანელობა იმ დღესვე დამიკავშირდა და მის შესახებ მკითხა. ალბათ, გასაგებია, შოტლანდიელებს რასაც ვუპასუხებდი. ორიოდ დღის წინ ისიც გავიგე, რომ „ჰიბერნიანი“ გვარამაძით კმაყოფილი დარჩა, თუმცა მერე რა მოხდა და რატომ გააბრუნეს მეკარე უკან, ჩემთან ამის თაობაზე არავის ულაპარაკია — გვითხრა საქართველოს ნაკრების კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ, რომელსაც წუხელ ლონდონში დავუკავშირდით.

**კობა ინასარიძე**

# დარჩიძე დარჩება

## ასლანი ბათუმს ემშვიდობება

ეროვნული ბიბლიოთეკა

„**ბათუმი**“ კვლავაც საწვრთნელ შეკრებაზეა ბულგარეთში. ასლან ბალაძე შეგირდებს დღეში ორჯერ ავარჯიშებს და ამავდროულად ამხანაგურ მატჩებსაც არ აკლებს. ბოლოს ბათუმელები წინა მეტოქეებთან შედარებით ყველაზე ძლიერ პლოვდივის „ბოტევს“ გაეჯიბრნენ და პირველი მარცხიც იწვნიეს — 0:2.

— „ბოტევთან“ პირველ ტაიმში გაგვიჭირდა. მეტოქემ ორი უპასუხო გოლი გაგვიტანა, თუმცა მერე თამაში გამოვასწორეთ და ინიციატივასაც დავეუფლეთ. მეორე ნახევარში კი ბიჭებმა თავგამოდებით იბრძოლეს, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ. საბოლოო ჯამში, ჩემი გუნდის გარჯით კმაყოფილი ვარ. ეს ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო, რაც აქ ჩავატარეთ — ასე შეაფასა „ბოტევთან“ თამაში „ბათუმის“ თავკაცმა ასლან ბალაძემ.


ასლან ბალაძე

ქართველებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *ი. ბალაძე, არჩვაძე (ჩიჩუა), თურმანიძე, ი. მახარაძე, კობიძე, გვიანიძე, დ. ჯანაშია, გ. ჩხაიძე, დარჩიძე (ტულუში), მაჭუტაძე, აფხაზავა (ქაცარავა).*

„ბოტევთან“ მატჩს ბევრი სკაუტიც დასწრებია, რომელთაც თვალში ორი ჩვენებური — ვიტალი დარჩიძე და კახა კობიძე მოსვლიათ.

— დარჩიძე და კობიძე ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელები არიან. მათ შესაძლებლობებში ეჭვი არც მეპარებოდა, მაგრამ „ბოტევთან“ ორივემ მართლაც მაღალ დონეზე ითამაშა. უცხოელებიც უმალ დაინტერესდნენ, თუმცა გუნდიდან არავის გაშვებას არ ვაპირებ. მით უმეტეს, ეს ბიჭები ბულგარეთის ჩემპიონატისთვის არ მემეტება. ისინი მაისამდე ჩვენთან იქნებიან. თუ ყველაფერი კარგად იქნება და რომელიმე ევროტურნირის საგზურს მოვიპოვებთ, კვლავ „ბათუმში“ დარჩებიან. თუ არა და მერე მოვილაპარაკებთ — გვითხრა გუშინ ასლან ბალაძემ.

„ბათუმის“ თავკაცი შეკრებით ერთობ კმაყოფილია. ერთადერთი, რამაც ბალაძეს გუნება წაუხდინა, რამდენიმე ფეხბურთელის ტრავმაა, თუმცა ახლა ყველანი ჯანზე ყოფილან.

დღეს „ბათუმი“ „დრიანოვოს“ გაეჯიბრება. ხვალ კი ქართველები ბარგს აიკრავენ და სამშობლოში დაბრუნდებიან.

**კახა ზალამბერიძე**

# გორდა სტუდენტებთან ჩაიჭრა

## გაბისკირიამ ზღვას ოქრო არჩია


იური გაბისკირია

**14 თებერვლიდან** ქობულეთურ შეკრებაზეა რუსთავის „გორდა“. თენგიზ კაციამ სასტუმრო „საქართველოში“ დააბინავა შეგირდები და საჩემპიონატოდ გახურებულ სამზადისში ჰყავს გუნდი. ზღვისპირეთში რუსთაველებს საწვრთნელად ურიგო პირობები არა აქვთ, ეგაა, სრული შემადგენლობით ვერ ემზადებიან. რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმირებულია.

რუსთაველებს შეკრებაზე ნალჩიკის „სპარტაკიდან“ სამშობლოში მობრუნებული იური გაბისკირია არ გაჰყოლია. იგი „გორდასთან“ ერთად ვარჯიშობდა და თითქმის გადაწყვეტილიც იყო, რომ ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპს რუსთავული კლუბის შემადგენლობაში შეხვდებოდა, მაგრამ ბოლო მომენტში სხვა გადაწყვეტილება მიიღო და ბოლნისის გზას დაადგა. მოკლედ, კახა ალადაშვილის და ალექსანდრე ბურნაძის შემდეგ „გორდას“ მესამე ფეხბურთელი გაექცა კარიერის „ოქროს კარიერზე“ გასაგრძელებლად.

წინა უქმეებზე ზღვისპირეთში „გორდამ“ პირველი საკონტროლო მატჩი გამართა. რუსთაველები მალთაყვაში პირველლიგელ თსუ-ს დაუპირისპირდნენ. ახალგაზრდულმა თსუ-მ ჭკუა ასწავლა გამოცდილ მეტოქეს და 2:0 დაამარცხა. სტუდენტთაგან სულთანიშვილმა და რუსთავული საფეხბურთო სკოლის აღზრდილმა სახვაძემ გამოიჩინეს თავი. „გორდამ“ ამ შემადგენლობით ითამაშა:

*ბედიაშვილი, ბერიძე, ებრალიძე, (ცქიფურიშვილი, ლ. ხმალაძე (ბუკია), ლაშა სილაგაძე, მელაძე, არსოშვილი, თავბერიძე (ჩიქობავა), ჯელაძე, რეხვიაშვილი (კიტეიშვილი)*

მეორე საკონტროლო მატჩს რუსთაველები დღეს ზესტაფონის „მეტალურგთან“ გამართავენ. „გორდა“ ქობულეთში 25 თებერვლამდე დარჩება.

**ბაატა ქვანტალიანი**

# ვინ იცის ვინიცა?

**ლანჩხუთის „გურია“** ლამის ყველა ფეხბურთელმა რომ დატოვა, ახლახან გაუწყეთ. უიმედო მდგომარეობაში მყოფი ფეხბურთელები ქართულ კლუბებში გაიფანტნენ და იქ ცდილობენ დამკვიდრებას. 28 წლის გამთამაშებელმა თენგიზ პატარაიამ კი სულაც უკრაინას მიაშურა და იქაურ პირველლიგელ „ვინიცასთან“ გააფორმა კონტრაქტი.

პატარაიას ახალ კლუბში კიდევ ერთი ქართველი, 29 წლის თავდამსხმელი კახა დგებუაძე დახვდა. ტერნოპოლის „ნივას“ ყოფილი ფეხბურთელი, რომელიც ბოლოს ლუცკის „ვოლინაში“ თამაშობდა, ამიერიდან სწორედ „ვინიცას“ ღირსებას დაიცავს.

უკრაინის ჩემპიონატის პირველ ლიგაში მათ გარდა კიდევ ხუთი ჩვენებური თამაშობს: ტარიელ კაპანაძე, იროდიონ კუჭავა, ირაკლი იზორია და თენგიზ უგრეხელიძე ტერნოპოლის „ნივაში“ ირიცხებიან, გიორგი ციმაკურიძე კი — ალჩევსკის „სტალში“.

**კახა ზალამბერიძე**

# სველი საჯარიმო


სოსო ფილია

**ეროვნული** ჩემპიონატის განახლებამდე ბევრიც არაფერია დარჩენილი. გუნდებიც შეძლებისდაგვარად აგრძელებენ მზადებას, შიგადაშიგ საკონტროლო მატჩებსაც მართავენ.

ყვავილნარში შეკრებაზე ჩასული პირველლიგელი თბილისური თსუ მეორედ გაეჯიბრა „ფაზისზე“ „კოლხეთს“. საშინელ წვიმაში გამართული ბურთაობა ფრედ 1:1 დასრულდა. თბილისელი ლევან კვარაცხელიას მე-60 წუთზე გატანილს, კოლხმა ვალტერ გუჩუამ მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე მშვენიერი საჯარიმოთი უპასუხა, ისე რომ, მეკარე ჭრიკიშვილს სველი ბურთის დამორჩილება გაუჭირდა. მწვრთნელებს, სოსო ფილიას და მერაბ კოჭლაშვილს, არავინ შეუცვლიათ, გუნდებმაც ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

*„კოლხეთი“ — ქვაჩახია, ნარსია, ქობულაძე, აკობია, ტორჩინავა, გუჩუა, კვეტენაძე, ჭანტურიძე, კალანდაძე, ე. გვასალია, ოდიკაძე*

*თსუ — ჭრიკიშვილი, კუპრეიშვილი, ბერიანიძე, ქერაშვილი, ქუხილავა, კვარაცხელია, მესხი, დათუნაიშვილი, ჩოხელი, მერებაშვილი, სულთანიშვილი*

როგორც სოსო ფილიამ გვითხრა, ახლა „კოლხეთი“ ქობულეთში შეკრებაზე ჩასულ რუსთავის „გორდას“ სავარაუდოდ 23 ან 24 თებერვალს ლანჩხუთში, გრიგოლეთის საწვრთნელ ბაზაზე შეხვდება.

**გიორგი ვაშაძიძე**

## იტალია

სერია B. XXIV ტური

ნაპოლი 0:0 ემპოლი

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XXIII ტური

არმინია 4:1 აინტრახტი

## პორტუგალია

პირველი ლიგა. XXIII ტური

მარიტიმუ 3:0 ლეირია

## მეფის თასი

მატჩი მესამე ადგილისთვის

ყატარი 2:0 სინგაპური

1:0 ალი ბექრი (82), 2:0 ჯალალ-მუსა (90)

ფინალი

ჩრდ. კორეა 0:0 (პენ.4:3) ტაილანდი



მეფის თასი კომუნისტურ ჩრდილოეთ კორეას დარჩა

ფირმების
რეგისტრაცია
ოფშორული
კომპანიები
რუსეთის
ვიზები
მისამართი:
„პირიმზე“ მეორე
სართული
ტელეფონი: 93-52-34,
877 42-20-59

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის თანამშრომლები
თანაუგრძნობენ სტადიონის კომერციულ დირექტორს
ანზორ მაზიაშვილს ძმის
ზურაბ მაზიაშვილის
გარდაცვალების გამო

ინდსაწარმო «არეალი»
თანამედროვე დიზაინით და ტექნოლოგიებით
ამზადებს ნებისმიერი სახის
საოფისე ავეჯს
სამზარეულოებს, კარადებს, მაგიდებს, სკამებს
მისამართი: თბილისი, ვაშლიჯვარი,
კოძიაშვილის 97 (ვეოლოგების ბარაკი)
ტელეფონები: 39 00 98 ან 8 99 54 07 01
ხელმისაწვდომი ფასები
გადახდის ნებისმიერი ფორმით

# ჩოლარიამ კალენდარზე, იდეალურიაო, თქვა, ჩივაძის საიდუმლო კი არ გათქვა



*დუბლინში 15 თებერვალს შედგენილი ევროპის ჩემპიონატის მეათე შესარჩევი ჯგუფის კალენდრის ავკარგიანობა კვლავაც საკამათოდ რჩება. ჩვენ ჩვენეული არგუმენტები გვაქვს, ქომაგს — თავისი რაც, ფაქტობრივად, ერთმანეთს ემთხვევა და საერთო აზრიც იკვეთება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც ცდილობს, დაამტკიცოს, რომ კალენდარი კარგია, გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას კი სულაც მიაჩნია, რომ კალენდრის ეს ვარიანტი საქართველოს ნაკრებისთვის იდეალურია.*

— კმაყოფილი ვარ და ვფიქრობ, რომ კალენდარი ჩვენთვის იდეალურია. რადგანაც მატჩების ჩატარების ასეთ გრაფიკს დავთანხმდით, ესე იგი ის საქართველოს ნაკრებისთვის ხასარგებლო გვგონია — გვითხრა ვალერი ჩოლარიამ, რომელიც დუბლინიდან გუშინწინ დაბრუნდა — საბოლოოდ მოლაპარაკებამდე 14 თებერვალს ცალ-ცალკე შევხვდით რუსეთის, ალბანეთისა და ირლანდიის წარმომადგენლებს. ყველამ ყველას აზრი, შენიშვნა გაითვალისწინა და მეორე დღეს უეფას ვიცე-პრეზიდენტის თანდასწრებით კალენდრის ამ ვარიანტზე შევთანხმდით.

**— შეთანხმდით, თუმც ვფიქრობთ, თბილისში უკეთესი კალენდრის ჩამოტანაც შეგეძლოთ.**

— უკეთესი მხოლოდ ის იქნებოდა, ჩვენს შეთავაზებულ ვარიანტს ოთხივე მეტოქე დათანხმებოდა. ეს კი შეუძლებელი იყო.

**— საბოლოოდ რომელი დელეგაციის ვარიანტზე შეთანხმდით?**

— რა თქმა უნდა, ყველამ თავისი ვარიანტი წარმოადგინა. მათ განხილვაზე დრო არ დაგვიკარგავს. კალენდარზე იქვე, ფაქტობრივად, 14 თებერვალს შევთანხმდით, 15-ში კი ცოტაც ვისაუბრეთ და კალენდრის ვარიანტი უეფაში დასამტკიცებლად გავგზავნეთ.

**— 14 თებერვალს რუსებსაც ცალკე შეხვედითო, თქვით, მაშინ გადაწყვიტეთ, რომ ბოლო ტურის მატჩი მოსკოვში გამართულიყო?**

— სხვათა შორის, პირველად სწორედ რუსებს შევხვდით. საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ ირლანდიაში მათთან ერთად იმგზავრა და რუსებმაც მას თავიანთი ვარიანტები მერაბ ჟორდანიასა და ჩემს დუბლინში ჩასვლამდე გადასცეს. ჩივაძემ, ცხადია, რუსების პროექტი გაგვაცნო. დავფიქრდით, მათი ვარიანტი ჩვენთვის მისაღები არ გამოდგა. შემდეგ შევხვდით რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ ვიაჩესლავ კოლოსკოვს და დელეგაციის სხვა წევრებს და პირდაპირ განვუცხადეთ, რომ ამ პროექტს არ დავეთანხმებოდით. თანაც რუსებს სურდათ უეფას რეიტინგი, რომლის მიხედვითაც პორტუს წილისყრისას გუნდები კალათებში განაწილდა, სათავისოდ შეეცვალათ და კალენდარზე მოლაპარაკებისას ისინი მეხუთე გუნდად ჩათვლილიყვნენ, საქართველო-ალბანეთი მეორე-მესამედ, შვეიცარია კი მეოთხედ. ამით რუსები გარკვეულად პრივილეგებულები დარჩებოდნენ. არც ამას დავთანხმდით და მოვითხოვეთ კალენდარი უეფას დადგენილი რეიტინგის გათვალისწინებით შეგვედგინა. ჩვენი აზრი საბოლოოდ ყველამ გაითვალისწინა. რუსებს ერთი თხოვნაც ჰქონდათ, შინ მარტ-აპრილში თამაში არ სურდათ.

**— და გაიტანეს კიდეც თავისი. მარტ-აპრილში მოსკოვში არ ითამაშებენ.**

— სამაგიეროდ, ჩვენი მოთხოვნაც გაითვალისწინეს.

**— რა მოთხოვნა?**

— ის, რომ მიყოლებით, ოთხ დღეში ორჯერ არ გვეთამაშა.

**— და ეს მნიშვნელოვანია, თანაც ისეთი, რომ მოთხოვნა დაგჭირდათ?**

— რა თქმა უნდა. მგზავრობაში ხომ დრო იხარჯება.

**— ალბანეთთან 6 და 10 სექტემბერს არის თამაშები დანიშნული.**

— ეს შეგნებულად გავაკეთეთ.

**— რა გააკეთეთ შეგნებულად?**

— ალბანეთი ბოლოსკენ მოვიტოვეთ და თანაც მათ ჯერ ვმასპინძლობთ და მერე ვსტუმრობთ.

**— ბოლოსკენ რატომ მოიტოვეთ ალბანეთი?**

— ჩვენამდე ალბანეთი სამივე გუნდს უმასპინძლებს და შესაძლოა ორი, ანაც სამივე გაამწაროს. ჩავიდნენ ჩვენი მეტოქეები და ნახავენ, როგორია ტირანში თამაში.

**— გეთანხმებით, მართლაც ძნელია ტირანაში თამაში, მაგრამ საქართველოს არ ელის იგივე, რაც ჩვენს მეტოქეებს?**

— საქმეც ეგაა, ბოლოსწინა ტურამდე თეორიულად აუტსაიდერის ვინაობა გარკვეული უნდა იყოს. თანაც ალბანეთი თუ თბილისში დავამარცხეთ, ტირანას ამაღლებული განწყობით ვეწვევით.

— და მერე მოსკოვს. ვისი იდეა, იყო, რომ ბოლო მატჩი რუსეთში გამართულიყო?

— ირლანდიაში, შვეიცარიასთან თამაში გვსურსო, შვეიცარიამაც იგივე განაცხადა. ჩვენსა და რუსებს შორის ძნელი იყო გასარკვევი. რუსებმა, სულერთიაო, ჩვენთვისაც არ ჰქონდა მნიშვნელობა და გადავწყვიტეთ, ბოლო მატჩი რუსეთში ჩაგვეტარებინა.

**— იქნებ ჯობდა, პირველივე ტურში ემასპინძლა რუსეთს საქართველოსთვის?**

— არ ჯობდა. სტუმრად შედარებით იოლი სწორედ შვეიცარიაში თამაშია. არ უნდა წავაგოთ.

**— პირველ ტურში შინ რომ ეთამაშა საქართველოს ნაკრებს?**

— ეს მწვრთნელს არ სურდა.

**— რატომ?**

— არ სურდა.

**— რატომ არ სურდა?**

— მისი საიდუმლოა. ჩივაძემ ამჯობინა, რომ პირველი მატჩი ნაკრებს სტუმრად გაემართა. შვეიცარია კი ამისთვის ყველაზე კარგი ვარიანტი იყო. სხვათა შორის, მეექვსე-მეშვიდე-მერვე ტურებში ალბანეთი ზედიზედ სტუმრად თამაშობს და ჩვენ წინააღმდეგობა გაგვიწიეს, პირველი მატჩი ტირანაში ვითამაშოთო. არ დავთანხმდით და მოლაპარაკება ჩაიშლებოდა, დანარჩენ სამს რომ მხარი არ დაეჭირა. ალბანეთსაც სხვა გზა არ ჰქონდა, დაგვთანხმდა.

**— ალბანელებს შეეძლოთ მოლაპარაკება ჩაეშალათ და მერე კალენდარს უეფა დაადგენდა.**

— კი, მაგრამ თითქმის ყველაფერი შევათანხმეთ. თანაც ოთხი გუნდი ერთსა და იმავე აზრზე იყო.

**— ერთი სიტყვით, კმაყოფილები ხართ, თანაც თვლით, რომ ნაკრებისთვის იდეალური კალენდარია?**

— დიახ, კმაყოფილები ვართ, ასე რომ არ იყოს, შეთანხმებას ხელს არ მოვაწერდით.

**ქობა ინასარიძე**

# შაბაშ, თურქმენბაშ: ტორპედო ფინალშია




რევაზ ძოძუაშვილი

**საქართველოს** ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“ „თურქმენბაშის თასის“ გათამაშების ფინალში გავიდა და დღეს საღამოს თურქმენეთის კლუბების ნაკრებს გაეჯიბრება.

აქამდე ქუთაისელებმა B ჯგუფის პირველ მატჩში ტალინის „ფლორასთან“ ფრედ ითამაშეს, შემდეგ იონანიძის ორი გოლით კიევის ცესკა დაამარცხეს, შაბათს კი კლაიპედას „ატლანტასთან“ უგოლო ფრის შემდეგ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და ფინალისტობაც გაინაღდეს.

„ატლანტასთან“ „ტორპედომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ტოგონიძე, მახვილაძე, აბრამიძე, ხვადაგიანი, თოდუა, დიდავა, ქემოკლიძე, პორომშინი, ბაბუნაშვილი (გამეზარდაშვილი), იონანიძე, ქუთათელაძე (ახალკაცი)*

ფინალური მატჩი 7 საათზე დაიწყება აშხაბადის ოლიმპიურ სტადიონზე, ქუთაისელები კი საქართველოს ჩემპიონატისთვის მზადებას იქვე გააგრძელებენ და შინ 26 თებერვალს დაბრუნდებიან.

**ლუკა თალაკვაძე**



ლადო ახალაიამ (წინა პლანზე) ნორჩაში იყოჩაღა

# ზიმბრუს მესამე ლადო ახალაიას პირველით დაიწყო

**თბილისის „დინამომ“** იტალიაში „ნორჩას თასის“ წლევანდელი გათამაშება უსახელოდ კი ჩაამთავრა, მაგრამ „საპრიზოებში“ ქართულმა გვარ-სახელმა მაინც გაიჟღერა. ლევან გვაზავასა და ლადო ახალაიას „ზიმბრუმ“ თავი არ შეირცხვინა და მესამე ადგილზე დაასრულა ტურნირი.

მოლდოველებმა ჯგუფიდან გასვლა იოლად მოახერხეს და არც პლეიოფში შეურცხვენიათ თავი, თუმც ნახევარფინალში პოლონურ „პოლონიასთან“ დამარცხდნენ.

მესამე ადგილისთვის მატჩში „ზიმბრუს“ მეტოქე რუმინეთის ჩემპიონი ბუქარესტის „სტიაუა“ იყო. მოლდოველებმა მოწინააღმდეგეს შანსი არ დაუტოვეს და 2:0 დაამარცხეს. ერთი გოლი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრმა ლადო ახალაიამ გაიტანა.

ფინალში ერთმანეთს ასევე რუმინული „არჯესი“ და „პოლონია“ შეხვდნენ. რუმინელებმა მეტოქე 2:1 დაამარცხეს და ნორჩას თასიც ჩაიბარეს.

**კახა შალამბერიძე**

# ასათიანის მეორე საათი

**გუშინწინ** კონჩა-ზასპაში კიევის „დინამოს“ სარეზერვო გუნდმა მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა. ამჯამად დინამოელთა მეტოქე იქაური პირველლიგელი ბორისპოლის „ბორისფენი“ იყო. ამ შეხვედრაში კიევურ კლუბში გასინჯვაზე მყოფ ქართველთაგან მხოლოდ მალხაზ ასათიანმა ითამაშა. მან მოედანზე 60 წუთი დაჰყო, მერე კი მწვრთნელებმა შეცვალეს. არჩილ სახვაძე და ლაშა ჭელიძე კი საერთოდ არ გამოჩენილან.

წინა მატჩებთან შედარებით „დინამომ“ ამჯერად შედარებით ძლიერი შემადგენლობით ითამაშა. მწვრთნელებმა სარეზერვო გუნდს გამოცდილი ფილიმონოვი, ხაცკევიჩი, ჩებოტარიუ და მელაშჩენკო დაუმატეს და კიეველებმაც 2:0 იმარჯვეს. ჯერ მელაშჩენკო გაუსწორდა ორ მეტოქეს იოლად და 12-15 მეტრიდან აულებელი დაარტყა. მერე, შეხვედრის დამთავრებამდე ოციოდ წუთით ადრე, ერმოლენკომ თავისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა და შეხვედრას წერტილი დაუსვა.

მალხაზ ასათიანმა კი უკვე მეორეჯერ მოირგო „დინამოს“ მაისური და ახლაც მხოლოდ ერთი საათი დაჰყო მოედანზე. ჟიტომირის „პოლესიესთან“ (0:0) ჩატარებული მატჩის შემდეგ უკრაინელებმა ქუთაისელ ნახევარმცველს ფიზიკური მომზადება დაუწუნეს, თუმც უკრაინელებს არც იმის თქმა დავიწყებიათ, რომ ქართველმა ბევრ კომპონენტში თავი კარგად წარმოაჩინა, რაც ვალერი ლობანოვსკის არ გამოეპარება.

„დინამომ“ „ბორისფენთან“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ფილიმონოვი (სუხინი 46), ხაცკევიჩი, ილნიცკი, იალანსკი (ჩერნიკოვი 36), ფიოდოროვი, შველიუხინი, ჩებოტარიუ (ლუჩუკი 43), ობერემკო, ასათიანი (როჟოკი 60), მელაშჩენკო, ერმოლენკო.*

**კახა შალამბერიძე**




გეპატიჟებათ გუდაურში სასტუმრო „ოზონი“

ორჯერადი კვება, მანქანით მომსახურება საბაგირომდე. ბარი და საუნა თქვენს განკარგულებაში

☎ 899 54 54 87

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XXIII ტური

**ფრაიბურგი 0:2 ბაიერნი**

0:1 ლიზარაზუ (32), 0:2 ელბერი (41)
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, შ. მიულერი, ა. ცაიერი (ვ. ბუტი 72), ჰერმელი, ცხადიშვილი, კობიაშვილი, კულიბალი, სელიმი (ტანკო 46), ბრუნსი (რამდანე 65), იაშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, იერემისი, ფინკი, ეფენბერგი, ზოლი (სერჯიო 72), სანტა კრუზი (კ. პიზარო 82), ელბერი (იანკერი 85)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
მსაჯი: მერკი
25 000 მაყურებელი

**კიოლნი 0:0 ვერდერი**

კიოლნი: პრიოლი, ჩიკონი, ცელერი, კულმანი, ბალიტში, ვოიგტი, შპრინგერი, კრიიცა, ტიმი, კურტი, დონკოვი (რაიხი 73)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
ვერდერი: ფ. როსტი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი, კრსტაიჩი, ფრინგსი, სკრიპნიკი, ბანოვიჩი (ტიკუზუ 61), ველაგე, ლისტეში (ბოროვსკი 82), აილტონი, ბოდე (სტალტერი 89)
მწვრთელი: თომას შაფი
გაფრთხილება: ჩიკონი, შპრინგერი, ვერლაატი
გაძევება: ველაგე (58)
მსაჯი: კრომპი
26 000 მაყურებელი

**დორტმუნდი 1:1 შალკე**

0:1 უდე კამფსისი (17), 1:1 ევერტონი (50)
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, მეცელდერი, ევანილსონი, დედე, რიოტერი, კელი, როსიცკი, რიკენი, ევერტონი (ამოროზო 69), იან კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
შალკე: რეკი, უდე კამფსისი, ვალდოხი, ვან ჰოოგდალემი, ვან კერკჰოვენი, ნემეცი, ვილმოტსი, ბიომე, მიოლერი (ვერმანტი 86), ასამოა (აგალი 62), სანდი
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
გაფრთხილება: დედე, როსიცკი, ნემეცი, მიოლერი, სანდი
მსაჯი: ვაკი
68 600 მაყურებელი

**ზანქტ პაული 2:2 ლევერკუზენი**

0:1 კირსტენი (6), 1:1 რატი (27), 1:2 ბალაკი (70), 2:2 მეგლე (90ა)
ზანქტ პაული: ბულატი, კოვალენკო (ბარისი 46), სტანისლავსკი, გიბსი, კინცი, ბერე (მელდი 75), ბიურგერი, რანი (მარკაო 75), მეგლე, პაჩინსკი, რატი
მწვრთნელი: დიტმარ დემუტი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, კლაინი, ნოვოტნი, ბ. შნაიდერი, ჟივკოვიჩი, რამელო (ვრანიეში 46), ბალაკი, ბაშთურქი, ნოივილი, ზე რობერტო, კირსტენი (ბერბატოვი 85)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
გაფრთხილება: პაჩინსკი, კოვალენკო, გიბსი, ბალაკი, ზე რობერტო, შნაიდერი, კირსტენი
მსაჯი: იანსენი
19 881 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 2:1 ნიურნბერგი**

1:0 ლოკვენცი (31), 2:0 ბიელიცა (71), 2:1 სანე (90)
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი (ვაიდენფელერი 90), რამზი, ჰენგენი, ვესტი, ბასლერი, ხრისტოვი, რიდლი, ლინკოლნი (ბიელიცა 55), დომინგუში (რატინიო 61), კლოზე, ლოკვენცი
მწვრთნელი: ანდრეას ბრემი
ნიურნბერგი: კამპა, სანე, კოში, ნიკლი, ლ. მიულერი, პასლაკი (ჟუნიორი 73), ლარსენი, კრჟოვეცი, იაროლიმი, რინკე (მიოკელი 83), მიხალკე (გომისი 65)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: ხრისტოვი, ბასლერი, ჟუნიორი, გომისი
მსაჯი: კრუგი
36 927 მაყურებელი

**მიუნხენი 0:3 ჰერტა**

0:1 პრეეცი (12), 0:2 ბაინლიხი (47), 0:3 პრეეცი (49)
მიუნხენი: იენჩი, ვოტავა (ელერსი 46), ტ. ჰოფმანი, შტრანცლი, ჩერნი (გიორლიცი 65), ბორიმიროვი, რისეტი, ჰესლერი (მ. ვაისენბერგერი 65), ბიროლკა, აგოსტინო, მაქსი
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
ჰერტა: კირალი, ლაპაჩინსკი, შმიდტი, სიმუნიჩი, დარდაი, მარქსი (მაასი 79), ბაინლიხი, ჰარტმანი, მარსელინიო (გოორი 84), ალვეში (ტრეჩოკი 73), პრეეცი
მწვრთნელი: ფრანკო გიოტცი
გაფრთხილება: ბორიმიროვი, შმიდტი
მსაჯი: ბერგი
20 000 მაყურებელი

# ეს მსაჯები გადამრევენ...



REUTERS ჰამბურგიდან

ზანქტ პაული — ლევერკუზენი. ჰამბურგელმა ჰენინგ ბიურგერმა ულფ კირსტენი დასცა და აღრიალა

**შტუტგარტი 2:1 ვოლფსბურგი**

1:0 მაისნერი (9), 2:0 გლები (77), 2:1 კლიმოვიჩი (89)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ვენცელი, ჰ. გერბერი, სოლდო, მაისნერი, ტიფერტი (გლები 65), ბალაკოვი, ზაიცი (ტოდტი 85), ადემარი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, რიტერი (შარბეი 63), ფრანცი, ბილისკოვი, ვაიზერი, კარჰანი, კუმბაუერი, დ. მუნტიანუ (ოუსკოვიაკი 46), პონტე, გ. პეტროვი, კლიმოვიჩი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: პონტე, ფრანცი
მსაჯი: ალბრეხტი
16 000 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 2:1 ჰამბურგი**

1:0 ვან ჰუდტი (3), 1:1 კარდოზო (30ა), 2:1 დემო (32ა)
მიონხენგლადბახი: შტილი, ებერლი, ასანინი, პლეტში, მიუნხი, ნილსენი, ულიხი, დემო (ვიტეჩეკი 79), აიდოო (მაიკელი 78), ვან ლენტი, ვან ჰუდტი (ფელგენაუერი 89)
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ფუკალი, ჰოოგმა, ჰერჩი, ჰოლერბახი, ვიკი (ალბერტცი 82), იუფალუში, კარდოზო (კიტელაერი 59), პრეგერი (მაჰდავიკია 82), რომეო, ბარბარეზი
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: მიუნხი, ბარბარეზი, კარდოზო
გაძევება: ჰერჩი (48)
მსაჯი: ვაგნერი
30 100 მაყურებელი

**კოტბუსი 3:0 ჰანზა**

1:0 ბეკა (31), 2:0 მირიუტა (33), 3:0 ტოპიჩი (68)
კოტბუსი: პიპლიცა, და სილვა, ტ. როსტი, ბეკა, მატიუში, შრიოტერი, აკრაპოვიჩი, კობილანსკი, მირიუტა (კალუჟნი 87), ფრანკლინი (ჰელბიგი 65), ტოპიჩი (რეგეკამფი 76)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
ჰანზა: ბრიოტიგამი, ლანგე, იაკობსონი (მილი 60), ოსვალდი, ემარა, იასერი, ლანცი (ვიბრანი 38), მაული, რიდლევიჩი, ბაიერლე, და სალვა
მწვრთნელი: რალფ ზი
გაფრთხილება: შრიოტერი, ბეკა, როსტი, აკრაპოვიჩი, მატიუში, და სილვა, მაული, იასერი
მსაჯი: ფანდელი
17 100 მაყურებელი

**ჰამბურგში**, „ზანქტ პაული" — „ლევერკუზენის" მატჩის ბოლო წუთზე სკანდალი აგორდა. სტუმრები 2:1 იგებდნენ, როცა ზანქტელმა ჰელდმა მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა, ბურთი იქვე მდგარ შნაიდერს შუბლში მოხვდა და მერე სადღაც მხართან შეეხო, მსაჯმა კი პენალტი დანიშნა და ანგარიშიც გათანაბრდა, რამაც „ბაიერს" კვლავ გალიდერების შანსი მოუსპო: „სიბრაზისგან ლამისაა ავფეთქდე, ეს მსაჯები გადამრევენ" — თქვა მერე ლევერკუზენელთა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა.

„ბაიერმა" მართლაც პირველობის შანსი დაკარგა, რადგან „დორტმუნდმა" შინ „შალკეს" ვერ მოუგო. მოგება კი არა და, ქულასაც რომ გამორჩა, მადლობელი უნდა იყოს. რურის 119-ე დერბი არცთუ ამოდ საცქერი, მაგრამ მოლოდინისამებრ დაძაბული და მძიმე გამოდგა. თუმცა ვერც ეს თამაში გადაურჩა უსიამოვნებებს, მატჩის შემდეგ მასპინძელთა დამრიგებელი მათიას ზამერი კარგა ხანს ედავებოდა მსაჯს, ედავებოდა იმიტომ, რომ დორტმუნდელთა ერთ-ერთი შეტევისას გელზენკირხენელ ვან ჰოოგდალემს მოგერიებისას საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა, თერთმეტმეტრიანი კი არ დაინიშნა. ზამერი განრისხდა, მაგრამ რად გინდა...

თამაშის ამბები კი ასე იყო. მე-17 წუთზე „შალკეს" პირველივე სახიფათო შეტევა გოლით დამთავრდა. მიოლერმა გამოზომილი პასით ბელგიელი ვილმოტსი მეკარეს შეატოვა, მაგრა ლემანმა დაასწრო და საჯარიმოს ხაზს გარეთ ბურთი ვარდნაში მოიგერია, თუმცა ხიფათი ამით არ დამთავრებულა, მარჯვენა ფრთაზე ბურთი უდე კამფსისს მიუვიდა და მანაც 35 მეტრიდან ცარიელ კარში ჩაუშვა, კარის ხაზზე მდგომი დედეს თავგანწირული ნახტომი ამაო გამოდგა.

მერე „ბორუსია" ბევრს უტევდა, ოთხჯერ მიზანთანაც ახლოს იყო, მაგრამ ს[illegible] თრებით ახმახი ჩეხი კოლერი ხვდა[illegible] შეაგდო, რომ... თუმცა [illegible] კვეთებამ „ბორუსია" მაინც გადაარჩინა, მეორე ტაიმის დასაწყისში როსიცკის ჩაწოდებული ბურთი კოლერმა თავით ევერტონს დაუგდო და ამანაც ახლოდან გაათანაბრა. შემდეგაც რამდენჯერმე გამწვავდა საქმე, ბოლოსკენ ამოროზოს დარტყმული მცველებმა ცარიელი კარიდანაც გამოიტანეს, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

ქულები ქულებად, „დორტმუნდს" კი ბუნდესლიგაში უკვე 13 ტურია აღარ წაუგია და ისევ ცხრილის სათავეში დარჩა. და კიდევ, მეორე ნახევარში მიოლერთან შეხლისას ბორუსიელთა ჭაბუკმა გამთამაშებელმა ტომაშ როსიცკიმ მეხუთე ყვითელი მიიღო და მომავალ კვირას „ლევერკუზენთან" უმნიშვნელოვანეს მატჩს გამოტოვებს.

„ბაიერი" „ბორუსიას" ისევ ორი ქულით ჩამორჩება. აი, „კაიზერსლაუტერნი" კი „ნიურნბერგთან" გამარჯვების მერე პირველ ორეულს კიდევ უფრო დაუახლოვდა და ვინძლო ოლივერ კანის სიტყვები ახდეს, ბაიერნელთა მეკარე ხომ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ყველაზე სახიფათოდ ანდრეას ბრემეს გუნდს მიიჩნევდა.

„ბაიერნი" „დრაიზამშტადიონზე" „ფრაიბურგს" ესტუმრა და 2:0 მოიგო. წარმოიდგინეთ, აქამდე მიუნხენელებს ზედიზედ ხუთი გასვლა ჰქონდათ წაგებული და ჩემპიონობისთვის ბრძოლასაც თითქმის გამოეთიშნენ, მაგრამ განა მათ პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერს რამე დააოკებს, მთავარი ბრძოლა ახლა იწყებაო, უთქვამს ამას [illegible]ზე „კაიზერს".

**სოლომონ გულისაშვილი**



REUTERS კაიზერსლაუტერნიდან

კაიზერსლაუტერნი — ნიურნბერგი. მასპინძელთა მეკარე გეორგ კოხს მატჩის მშვიდობიანად ჩასამთავრებლად წუთი დააკლდა

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 დორტმუნდი | 23 | 14 | 6 | 3 | 38:16 | 22 | 48 | 11 | 7 | 2 | 2 | 18:7 | 11 | 23 | 12 | 7 | 4 | 1 | 20:9 | 11 | 25 |
| 2 ლევერკუზენი | 23 | 14 | 4 | 5 | 53:29 | 24 | 46 | 11 | 9 | 1 | 1 | 31:10 | 21 | 28 | 12 | 5 | 3 | 4 | 22:19 | 3 | 18 |
| 3 ლაუტერნი | 23 | 14 | 3 | 6 | 45:29 | 16 | 45 | 12 | 8 | 3 | 1 | 29:15 | 14 | 27 | 11 | 6 | 0 | 5 | 16:14 | 2 | 18 |
| 4 შალკე | 23 | 12 | 6 | 5 | 36:23 | 13 | 42 | 11 | 8 | 2 | 1 | 25:10 | 15 | 26 | 12 | 4 | 4 | 4 | 11:13 | -2 | 16 |
| 5 ბაიერნი | 23 | 12 | 5 | 6 | 41:19 | 22 | 41 | 11 | 7 | 4 | 0 | 23:5 | 18 | 25 | 12 | 5 | 1 | 6 | 18:14 | 4 | 16 |
| 6 ვერდერი | 23 | 12 | 4 | 7 | 35:26 | 9 | 40 | 12 | 8 | 2 | 2 | 19:12 | 7 | 26 | 11 | 4 | 2 | 5 | 16:14 | 2 | 14 |
| 7 ჰერტა | 23 | 11 | 6 | 6 | 36:27 | 9 | 39 | 12 | 8 | 2 | 2 | 24:12 | 12 | 26 | 11 | 3 | 4 | 4 | 12:15 | -3 | 13 |
| 8 შტუტგარტი | 23 | 9 | 7 | 7 | 29:25 | 4 | 34 | 12 | 6 | 4 | 2 | 18:7 | 11 | 22 | 11 | 3 | 3 | 5 | 11:18 | -7 | 12 |
| 9 მიუნხენი | 23 | 10 | 3 | 10 | 34:38 | -4 | 33 | 12 | 5 | 2 | 5 | 16:24 | -8 | 17 | 11 | 5 | 1 | 5 | 18:14 | 4 | 16 |
| 10 ვოლფსბურგი | 23 | 8 | 6 | 9 | 37:33 | 4 | 30 | 11 | 6 | 3 | 2 | 21:10 | 11 | 21 | 12 | 2 | 3 | 7 | 16:23 | -7 | 9 |
| 11 ჰამბურგი | 23 | 7 | 6 | 10 | 34:37 | -3 | 27 | 12 | 6 | 3 | 3 | 27:18 | 9 | 21 | 11 | 1 | 3 | 7 | 7:19 | -12 | 6 |
| 12 ჰანზა | 23 | 7 | 4 | 12 | 22:32 | -10 | 25 | 12 | 4 | 3 | 5 | 14:14 | 0 | 15 | 11 | 3 | 1 | 7 | 8:18 | -10 | 10 |
| 13 გლადბახი | 23 | 5 | 8 | 10 | 25:36 | -11 | 23 | 11 | 3 | 4 | 4 | 12:12 | 0 | 13 | 12 | 2 | 4 | 6 | 13:24 | -11 | 10 |
| 14 ფრაიბურგი | 23 | 5 | 8 | 10 | 25:37 | -12 | 23 | 11 | 4 | 4 | 3 | 15:12 | 3 | 16 | 12 | 1 | 4 | 7 | 10:25 | -15 | 7 |
| 15 კოტბუსი | 23 | 6 | 5 | 12 | 22:38 | -16 | 23 | 11 | 5 | 2 | 4 | 13:14 | -1 | 17 | 12 | 1 | 3 | 8 | 9:24 | -15 | 6 |
| 16 ნიურნბერგი | 23 | 6 | 4 | 13 | 22:40 | -18 | 22 | 12 | 4 | 3 | 5 | 14:17 | -3 | 15 | 11 | 2 | 1 | 8 | 8:23 | -15 | 7 |
| 17 ზანქტ პაული | 23 | 3 | 7 | 13 | 25:45 | -20 | 16 | 11 | 3 | 2 | 6 | 13:17 | -4 | 11 | 12 | 0 | 5 | 7 | 12:28 | -16 | 5 |
| 18 კიოლნი | 23 | 3 | 6 | 14 | 11:40 | -29 | 15 | 12 | 2 | 3 | 7 | 6:16 | -10 | 9 | 11 | 1 | 3 | 7 | 5:24 | -19 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ამოროზო (დორტმუნდი) | 12 |
| ბალაკი (ლევერკუზენი) | 12 |
| ელბერი (ბაიერნი) | 11 |
| პიზარო (ბაიერნი) | 10 |
| მარიჩი (ვოლფსბურგი) | 10 |
| ნოივილი (ლევერკუზენი) | 10 |

### XXIV ტური

24 თებერვალი

ვოლფსბურგი - მიუნხენი
ჰანზა - შტუტგარტი
ბაიერნი - კოტბუსი
შალკე - ფრაიბურგი
ლევერკუზენი - დორტმუნდი
ვერდერი - ჰამბურგი
ნიურნბერგი - კიოლნი
ჰერტა - ლაუტერნი
ზანქტ პაული - გლადბახი

## მეორე ბუნდესლიგა

### II ბუნდესლიგა. XXIII ტური

**ფიურტი 2:0 შვაინფურტი**

1:0 კოიო (19), 2:0 აზუზი (50)
ფიურტი: რაინოლდი, უნსოლდი, ბოი, მამიჩი, ბატისტა, სურმანი, რაიხელი, დვორაკი (მესუნუტლი 74), აზუზი, ამანატიდისი (დიკანოსიძე 87), კოიო (ტიური 81)
მწვრთნელი: ეოგენ ჰანი
მსაჯი: ფრანკი
9 331 მაყურებელი

**უნიონი 2:0 ვალდჰოფი**

1:0 რისტიჩი (65), 2:0 ნიკოლი (90)

**უნტერჰახინგი 3:1 ბაბელსბერგი**

1:0 ჩიჟეკი (28), 2:0, 3:0 როსლერი (47, 59), 3:1 კამფი (67)

**ალემანია 1:1 როიტლინგენი**

0:1 გარსია (52), 1:1 ივანოვიჩი (90)

**მაინცი 3:3 ობერჰაუზენი**

1:0 ბოდოგი (14), 2:0 ფრიდრიხი (42), 3:0 ვორონინი (58), 3:1 ბელიაკოვი (62), 3:2 ობადი (76), 3:3 მიულერი (87)

**ბოხუმი 3:1 ალენი**

1:0 ვოში (18), 2:0, 3:0 კრისტიანსენი (64ა, 73), 3:1 ლაბაკი (90)

**დუისბურგი 5:0 ზაარბრიუკენი**

1:0 დრისეკი (27), 2:0, 3:0 ჰუშელი (41, 56), 4:0 კაიდელი (61), 5:0 კუნლე (80)

**კარლსრუე 1:2 ჰანოვერი**

1:0 ფუქსი (7), 1:1 კასი (73), 1:2 კრუპნიკოვიჩი (83)

**არმინია — აინტრახტი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰანოვერი | 23 | 15 | 7 | 1 | 63:27 | 52 |
| მაინცი | 23 | 13 | 6 | 4 | 45:26 | 45 |
| ფიურტი | 23 | 13 | 5 | 5 | 46:27 | 44 |
| არმინია | 22 | 12 | 6 | 4 | 41:21 | 42 |
| უნიონი | 23 | 11 | 5 | 7 | 45:28 | 38 |
| აინტრახტი | 22 | 10 | 7 | 5 | 36:26 | 37 |
| ბოხუმი | 23 | 10 | 7 | 6 | 45:39 | 37 |
| ალენი | 23 | 10 | 5 | 8 | 43:48 | 35 |
| დუისბურგი | 23 | 8 | 8 | 7 | 42:37 | 32 |
| როიტლინგენი | 23 | 8 | 4 | 11 | 35:38 | 28 |
| ვალდჰოფი | 23 | 7 | 7 | 9 | 30:35 | 28 |
| ალემანია | 23 | 8 | 4 | 11 | 29:45 | 28 |
| კარლსრუე | 23 | 7 | 5 | 11 | 30:38 | 26 |
| უნტერჰახინგი | 23 | 7 | 5 | 11 | 22:31 | 26 |
| ობერჰაუზენი | 23 | 5 | 5 | 13 | 37:41 | 20 |
| შვაინფურტი | 23 | 5 | 5 | 13 | 21:42 | 20 |
| ზაარბრიუკენი | 23 | 3 | 6 | 14 | 17:44 | 15 |
| ბაბელსბერგი | 23 | 4 | 3 | 16 | 24:58 | 15 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

გადადებული მატჩი: მიუნსტერი — მაგდებურგი 4:1

# ფრაიბურგი VS ბაიერნი



REUTERS

ლევან ცქიტიშვილი (მარჯვნიდან მეორე) და სხვა ფრაიბურგელები მეჰმეთ შოლს კედლად აღემართნენ

# შტეფან აბდუშაჰილს ბაში-აჩუკი ვერ გამოუჩნდა




განო
ოქროპირიძე

ფრაიბურგიდან


**შაბათს** ავრორამ „ბაიერნისთვის“ გაისროლა. მიუნხენელებმა, ბუნდესლიგის 23-ე ტურის წინ მე-6 ადგილზე რომ მოკალათებულიყვნენ, „ფრაიბურგთან“ იმარჯვეს, კონკურენტებმა კი ქულები დაკარგეს და ბავარიელებსაც მიახლოების საშუალება მისცეს.

თავიდანვე ვთქვათ, პრობლემებმოძალებულმა „ბაიერნმა“ ფრაიბურგში იმაზე ადვილად მოიგო, ვიდრე ამას თავად ელოდა. ბადენვუტენბერგელებს ვერც გოლცის, კულიბალისა და სელიმის დაბრუნებამ უშველათ, კვლავ უსახურად ითამაშეს და შედეგიც საკადრისი მიიღეს.

25 ათასიანი „დრაიზამშტადიონი“ ისედაც ყველა მატჩზე ივსება და „ბაიერნთან“ რა იქნებოდა, თავად წარმოიდგინეთ. თამაშამდე ერთი საათით ადრე სტადიონის შესასვლელთან უკვე უხვად იდგნენ გულშემატკივრები, რომლებსაც ხელში დიდი ფურცლები ეჭირათ წარწერით: ვეძებ ბილეთს! ვერ გეტყვით, საიდან და როგორ, მაგრამ მატჩის დაწყებამდე 40 წუთით ადრე ბილეთის გადამყიდველები ბევრად სჭარბობდნენ მყიდველებს, ამის ბრალი იყო, რომ მანამდე თითქმის გაორმაგებული ფასები ლამის რეალურ ღირებულებას დაუბრუნდა. ასეა თუ ისე, მოგებული მაინც ის დარჩა, ვინც ვაჭრებთან საქმის დაჭერას, თამაშის ტელევიზორში ყურება არჩია. ფაქტია, აგერ უკვე მეოთხე მატჩია „ფრაიბურგმა“ თავისი თამაში ვერ იპოვა. მისთვის დამახასიათებელი მოკლე პასიანი კომბინაციური სტილი სადღაც დაიკარგა. შედეგი? გუნდი, რომლის გავარდნაც სეზონის განახლებამდე თითქმის წარმოუდგენელი იყო, რეალური საფრთხის წინაშე დგას.

სტუმართა უპირატესობა თავიდანვე გამოიკვეთა, თუმცა პირველ გოლამდე მიუნხენელებს მომენტის შექმნა უჭირდათ, მასპინძლებიც დაცვაში ურიგოდ არ ირჯებოდნენ. კობიაშვილს მარცხენა და ცქიტიშვილს მარცხენა ფლანგი საიმედოდ დაეკეტათ, შუაში კონდე და მიულერი იდგნენ მაგრად და... ამ დროს გოლიც გავიდა. 32-ე წუთზე ცქიტიშვილმა და გოლცმა ვერ გაუგეს ერთმანეთს, საჯარიმოში იერემისის ჩაგდებულ ბურთზე მეკარე გამოვიდა, ლევანსაც ეგონა ბურთი გოლცის ნადავლი გახდებაო და მოგერიება აღარ უცდია, ამ შეუთანხმებლობით კი ლიზარაზუმ ისარგებლა, ქართველს შეუმჩნევლად წამოეპარა და წინ გამოსულ მეკარეს თავზე გადაუგდო ბურთი. გოლამდე ცოტა ხნით ადრე ჰერმელს ჰქონდა ანგარიშის გახსნის შანსი, მაგრამ მიზანს ააცილა. მასპინძლებს გატანა გაშვებული გოლიდან რვა წუთშიც შეეძლოთ, როცა სელიმის კარის გასწვრივ ჩაწოდებულ ბურთზე კულიბალიმ წამით დააგვიანა. ამის მერე კი ისეთი თამაში წავიდა, ბავარიელთა თავკაც ოტმარ ჰიცფელდს ჯერ თადარიგში მყოფი სამივე ფორვარდი გამოაყვანინა, პრესკონფერენციაზე კი ათქმევინა, დღეს ჩემი გუნდით ძალიან კმაყოფილი ვარო.

ტაიმის დასრულებას 4 წუთი აკლდა, „ბაიერნმა“ რომ ანგარიში გაზარდა. დაცვაში მასპინძელთა კიდევ ერთი შეცდომით ელბერმა ისარგებლა, შოლის პასით გოლცთან პირისპირ დარჩა და მატჩს წერტილი დაუსვა. არადა, საგოლე შანსები მიუნხენელებს მეორე ნახევარშიც მრავლად ჰქონდათ. შოლს, იერემისს, სანტა კრუზს, პაულო სერჯიოს, კუფურს და იანკერს ხან გოლცმა შეუშალათ ხელი, ხან ძელებმა, ერთხელ კარის ხაზზე მდგომმა კობიაშვილმა, ხანაც თავად ღალატობდათ მიზანი.

მეტოქისგან განსხვავებით „ფრაიბურგს“ კანის კართან ხიფათის შექმნა უჭირდა. არადა, სასტარტო შემადგენლობა კაცს აფიქრებინებდა, ფინკე აქცენტს შეტევაზე გააკეთებსო. მიზეზი ძირითადში სამი თავდამსხმელისა და პლიუს აშკარად შემტევი სტილის კულიბალის გამწესება იყო, მაგრამ „ბაიერნის“ მარწუხებმა იაშვილიც, სელიმიც და ბრუნსიც, ფაქტობრივად, ნახევარმცველებად აქცია. ფინკემ ამის გამოსწორება მეორე ტაიმში ჯერ ტანკოს, მერე კი რამდანეს გაყვანით სცადა, მაგრამ ამაოდ. შესვენების შემდეგ ფრაიბურგელთა ყველაზე სახიფათო შეტევა რამდანემ კი დააგვირგვინა, მაგრამ კარის ბადე მხოლოდ გარედან შეირხა. იაშვილი კვლავაც ბევრს ცდილობდა, ერთხელ ჩვეულადაც გაიბრწყინა, როცა საჯარიმოში ბავარიელი მცველები ბავშვებივით გააპამპულა, მაგრამ მის პასს ვერავინ გამოეხმაურა. თავად ჩვენებურს მომენტი არ ჰქონია.

ამ შეხვედრაში დიდ ინტერესს სტუმართა კაპიტან შტეფან ეფენბერგის თამაშიც იწვევდა. ბოლო ხანებია, „ეფე“, აქამდე რომ გუნდის გამაერთიანებლის როლს ასრულებდა, ისეთ რამეებს ამბობს, „ბაიერნში“ ბევრი უკმაყოფილოა. ჯერ იყო და, ჰიცფელდი გააკრიტიკა, ტაქტიკა დაუწუნა და თან დააყოლა, შემადგენლობის გამოცნობაც უჭირს, იანკერს არ ათამაშებსო. „ზანკტ პაულისთან“ სამარცხვინო წაგების მერე გამოვიდა და სიტყვა „ქვეშჩამსვრელი“ ისეთ კონტექსტში მოიხსენია, გერმანელებს დღემდე



ოტმარ ჰიცფელდი

ვერ გაურკვევიათ, ჰიცფელდის ბოსტანში იყო ნასროლი თუ ფეხბურთელების. წინა კვირაში კი მიუნხენელთა კაპიტანი ფულზე უფრო ბევრს ფიქრობდა, ვიდრე თუნდაც „ფრაიბურგთან“ მატჩზე. ეფენბერგი, მოგეხსენებათ, მადრიდში იყო ჩასული და იქაურ „ატლეტიკოში“ გადასვლასთან დაკავშირებით კლუბის პრეზიდენტ ხესუს ხილი ხილთან ჰქონდა მოლაპარაკება. და როგორ ითამაშა ყოველივე ამის მერე „ეფემ“ ფრაიბურგში ცხადია, ცუდად. მხოლოდ ერთხელ გამოირჩა, როცა 0:0-ზე ფინკი ჩინებული პასით გოლცს შეატოვა, მაგრამ მიუნხენელმა კარს გვარიანად ააცილა. დანარჩენი დრო თავაწეული ეფენბერგი მინდორზე აბდუშაჰილივით დასეირნობდა და ხელგაშვერილი მითითებებს იძლეოდა. საეჭვოა, ეფენბერგის გარეშე „ბაიერნს“ უარესად ეთამაშაო, დაწერა კვირის „ბილდმა“.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ჰიცფელდი კარგ ხასიათზე ჩანდა, გასაგებიც იყო მისი კმაყოფილება, „ბაიერნმა“ ხომ ზედიზედ ხუთი საგარეო მარცხის მერე ნავსი გატეხა. „დღეს ჩემი გუნდის შესრულებით ის თამაში ვიხილე, რომელსაც ყოველთვის მოვითხოვ. მძიმე მდგომარეობაში ვართ, ჩვენი მიზანი მიუხედავად რთული ვითარებისა, მხოლოდ ჩემპიონობაა, სხვა რამეზე არც ვფიქრობთ. ამ მატჩმა დამანახა, რომ გუნდს არანაირი კრიზისი არ აქვს. მთავარია, ჩვენმა ასეთმა თამაშმა სტაბილური ხასიათი მიიღოს, ჩვენი მიზანი ეს არის. ამას თუ მივაღწიეთ, ჩემპიონობა თავისთავად მოვა“ — აღნიშნა ჰიცფელდმა. ფინკემ კი სინანულით დასძინა, ბოლო დროა, დასანანი მარცხები შემოგვეჩვია. გოლამდე ურიგოდ არ ვირჯებოდით, გაშვებულმა ბურთმა გაგვტეხაო და დააყოლა, მძიმე სატურნირო მდგომარეობა კი გვაქვს, მაგრამ შეგირდების მჯერაო. ჩვენც იმედი გვქონდეს, რომ „ფრაიბურგი“ სულიკოსავით სადღაც გაუჩინარებულ თავის თამაშს მიაგნებს და ბოლო დროს მოძალებულ კრიტიკოსებს ენაზე კბილს დააჭერინებს.

# გლაზგოელთა ლიფსიტჭურები

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XXIX ტური

**დანდი 0:3 სელტიკი**

0:1 ლარსონი (20), 0:2 მიალბი (43), 0:3 ჰართსონი (77)

დანდი: სპერონი, სმიტი, ბეგეტო, რაე, დელ რიო, რომანო, მაკი (კემესი 57), ნი, ძიგბაია, კაბალიერო (სარა 72), მილნი (არტერო 36)

ზურაბ ხიზანიშვილი და გიორგი ნემსაძე ტრავმირებულნი არიან

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

გაფრთხილება: ბეგეტო, ძიგბაია, რომანო

მსაჯი: მაკკარი

10 642 მაყურებელი

**რეინჯერსი 3:0 მოზერუელი**

1:0 ლატაპი (13), 2:0 ფლო (41), 3:0 რიკსენი (84)

რეინჯერსი: კლოსი, რიკსენი, ლ. ამორუზო, ნუმანი, კონტერმანი, ტ. ვიდმარი, ბ. ფერგიუსონი (დ. დოდსი 74), ლატაპი, შ. არველაძე, ფლო (მოლსი 68), ლოვენკრანდსი (მორის როსი 74)

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

მსაჯი: იანგი

49 284 მაყურებელი

**აბერდინი 4:0 დანდი იუნაიტედი**

1:0 უინტერსი (3), 2:0, 3:0 დ. იანგი (10, 48), 4:0 მიკე (81)

**ჰიბერნიანი 1:1 დანფერმლაინი**

0:1 ჰემშირი (59), 1:1 ტოუნსლი (79)

**კილმარნოკი 3:3 ჰართსი**

0:1 მაე (40), 1:1 დარგო (46), 2:1 ტ. ჯონსონი (52), 3:1 მიურეი (66), 3:2 პრესლი (83პ), 3:3 გრონლუნდი (86)

**სენტ ჯონსტონი 3:0 ლივინგსტონი**

1:0 პარტლი (44), 2:0 პარკერი (80), 3:0 გ. ჯოუნსი (90)

**ერთნაირი** ანგარიშით ჩამთავრდა პრემიერლიგური მატჩები ქართული გუნდების მონაწილეობით. „დანდიცა“ და „რეინჯერსიც“ ისე გაისარჯნენ, როგორც მოსალოდნელი იყო.

თუმც „დანდისგან“ ოდნავ მეტს კი ელოდნენ. თვით კლუბის ვებ-გვერდსაც არ დაუმალავს ის ფაქტი, რომ დანდელები ოდენ ხუთჯერ გადასცდნენ მეტოქის ნახევარს. ცხადია, ეს პირობითი ნათქვამია, უზუსტესი ისაა, რომ „დანდიმ“ მხოლოდ ხუთი იერიში მიიტანა „სელტიკზე“.

ხუთი „გადაცდენის“ შემქმნელი კი თემურ ქეცბაია შეიქნა, მხოლოდ ქართველმა გვიჩვენა, თუ როგორ უნდა შეასრულო გადაცემა წინ, დაიჩივლეს დანდელებმა.

ერთადერთი მართლაც სახიფათო მომენტი „სელტიკის“ კართან, რა თქმა უნდა, თემურ ქეცბაიამ გააჩერხა. 33 წლის ქართველმა სოლო რეიდი შეასრულა, სამი გლაზგოელი ჩამოიცილა, მაგრამ მის ლონიერ ცაციას „სელტიკის“ მეკარე რობერტ დუგლასმა ღირებულად დაუფარა. ეს შეხვედრის 31-ე წუთზე მოხდა, ოთხი წუთით ადრე კი ჩვენებური უხეშობისთვის გააფრთხილა მსაჯმა.

ჰენრიკ ლარსონმა მატჩის პირველი გოლი ახლოდან, იოლად შეაგდო — მანამდე ყველაფერი შოტლანდიის ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა პოლ ლამბერტმა გააკეთა.

სპერონიმ მეორე გოლი მიალბის თავურით გაუშვა, ხოლო მესამედ მორავჩიკის ჩაწოდებულ ბურთს ჰართსონმა ექვსი იარდიდან მიუჩინა ადგილი სპერონის ბადეში.

„სელტიკის“ მდევარმა „რეინჯერსმაც“ სამი უპასუხო გოლი გაუტანა მეტოქეს, თუმც „მოზერუელს“ „დანდიზე“ მედგრად უბრძოლია.

გლაზგოელ „ჩაფრებს“ რონალდ დე ბური აკლდათ. მან ... ჰოლანდია — ... ნაკრებში მცირე ტრავმა მიიღო და ალექს მაკლიშმაც არ გარისკა — ხუთშაბათს ხომ „რეინჯერსს“ უეფას თასის მერვედფინალურ მატჩში უფრო დიდი თევზი ჰყავს შესაჭმელი „ფეიენოორდის“ სახით.

ლიფსიტა „მოზერუელი“ კი მატჩის ბოლო წუთებამდე ყოჩაღად იდგა. რასელ ლატაპი ის კაცია, ვინც იშვიათად ჩნდება „რეინჯერსის“ ძირითადში და დე ბურის შემცვლელს შანსი ხელიდან არ გაუშვია — საგოლე გადაცემა მას შოთა არველაძემ უბოძა.

მანამდე შოთას თავად უნდა ეხეირა თავურით, მაგრამ ოდენ კუთხურს გამორჩა კარგი შანსი გააცუდა ლოვენკრანდსმაც.

უქმად არც „მოზერუელი“ ყოფილა. პირველ ტაიმში სტუმრებს სამჯერ შეეძლოთ შტეფან კლოსის გაწბილება, ერთხელ გერმანელ მეკარეს რეაქციის გარდა კარის ძელიც მოუსინჯეს.

„მოზერუელი“ თავისივე შუახაზელმა კეიტ ლესლიმ დაალალატა. ის ცდილობდა, ბურთი მეკარისთვის დაებრუნებინა, მაგრამ საჩუქარი გამოუვიდა ტორე ანდრე ფლოსთვის — ნორვეგიელმა მეკარე მშვიდად ჩამოიცილა და ცარიელი კარიც დალაშქრა.

მეორე ტაიმში მაინც ცდილობდა რაღაცას „მოზერუელი“. თუმც 59-ე წუთზე კაცნაკლული დარჩა და შმაგად ვეღარ იბრძოდა — წითელი ბარათი მეტოქე მცველს ლოვენკრანდსმა მიაღებინა.

ბოლო თხუთმეტი წუთი შოთასა და მიხაელ მოლსის ანცობისა იყო. ამ ორმა რეინჯერსელმა „მოზერუელის“ დაცვა კი დახვრიტა, თუმც მეტოქის მეკარე სტივ ვუდსს ვერაფერი მოუხერხა. მოლსს სულაც ჰეთ-თრიქის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ...

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 29 | 26 | 2 | 1 | 71:14 | 80 |
„ლანსის" თავპირისწამტვრევით ხელისგულები მოიფშვნიტა „ლიონმა". უძირძველეს მოქიშპეს, დედაქალაქის მარგალიტს, პსჟ-ს სულ თავბედი აწყევლინა. პარიზელმა მცველმა ფრედერიკ დეჟუმ რალაც გოლების გატანას კი მოუხშირა, მაგრამ ამჯერად ნამდვილად გზა-კვალი აერია. მეორე ნახევრის თხუთმეტიოდ წუთი იყო გასული, როცა მან და მეკარემ ერთმანეთს ვერ გაუგეს და სტუმართა კარში გასულ გოლთა ათვლაც აქედან დაიწყო. როცა „ლიონის" მიერ გატანილ გოლებზე ვიწყებთ ლაპარაკს, თქვენ იმწამს გახსენდებათ... ვინ? — მეორეს უეჭველად სონი ანდერსონი შეაგდებდა, ხოლო გიგანტური ძახილის ნიშანი შეხვედრას ჟუნინიომ დაუსვა. ახლა კი საჩემპიონო ბრძოლა უფრო საინტერესო გახდება, რამეთუ პირველ-მეორე უკვე ერთმანეთს ეხახუნებიან.

თავის მოძღვარს, გი რუს არ არცხვენს ყმაწვილი ჯიბრილ სისე. მიუხდა „ტრუას" და უმალ დააწინაურა კიდეც თავისიანები. მეორე ტაიმის დასაწყისში იგივე გააკეთა ახლა უკვე მეორე ოსერელმა ლიონელ მატისმა, რასაც ტრუელმა ნიკოლა გუსემ კინკილა გოლით უპასუხა. „ოსერისთვის" ეს ისეთი სამი ქულა გახლდათ, რომლითაც გუნდი სრულ უცვლებას იტოვებს, პირველობისთვის გაწამაწიაში გულიანად შეერიოს. [illegible] ცხადება ბერნარ ტაპის ალთქმა — მეორე წრის დასაწყისში ათეულში ავძვრებით, სეზონის ბოლოს კი უეფას თასის საგზურსაც წავეპოტინებითო. მარსელის „ოლიმპიკის" შაბათს დანიშნული შეხვედრა „მეცთან" კვირისთვის იმიტომ გადაიდო, რომ მარსელში ცა ჩამოიქცა და მინდვრის საფარი აყალოს დაემსგავსა. თუმცა გადაღ-გადმოღებამ და წვიმამ „მეცის" წისქვილზე წვეთიც არ დაპკურა. ლამინ საჰოს ერთი გოლის წყალობით „მეცი" „ლორიანთან" დუეტში ცხრილის ბოლოში ტივტივებს.

სახიფათო ზონაში მოქცეულმა დამინებულმა „ბასტიამ" სულ „სოშოს" კისრიდან ამოილო ყველაფერი. სტუმრებმა კარის გასაღები მასპინძლებს ჩააბარეს. ამათაც ტონი ვერელის თამადობით მეტოქე დაფშვნეს, აქანდაზით აილეს და კორსიკის ნაპირებთან გადაუძახეს.

**გაჩა ხუციშვილი**



ლიონი — პსჟ. პარიზელ გაბრიელ ჰაინცეს სიდნეი გოვუს (№14) თანაგუნდელთა სამი იერიში მაინც გაეპარა

REUTERS ლუსწორიდან

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 25 | 15 | 7 | 3 | 41:17 | 52 |
| ლიონი | 26 | 15 | 5 | 6 | 53:27 | 50 |
| ოსერი | 24 | 12 | 9 | 3 | 32:21 | 45 |
| პსჟ | 26 | 10 | 12 | 4 | 32:20 | 42 |
| ლილი | 25 | 10 | 9 | 6 | 29:24 | 39 |
| ბორდო | 25 | 10 | 8 | 7 | 25:20 | 38 |
| ტრუა | 25 | 10 | 6 | 9 | 32:29 | 36 |
| მარსელი | 26 | 8 | 9 | 9 | 25:29 | 33 |
| მონპელიე | 26 | 7 | 11 | 8 | 22:22 | 32 |
| მონაკო | 26 | 8 | 8 | 10 | 27:29 | 32 |
| სოშო | 26 | 8 | 8 | 10 | 32:35 | 32 |
| ბასტია | 26 | 9 | 4 | 13 | 28:35 | 31 |
| ნანტი | 26 | 8 | 5 | 13 | 24:32 | 29 |
| სედანი | 24 | 6 | 10 | 8 | 26:26 | 28 |
| რენი | 26 | 6 | 8 | 12 | 26:39 | 26 |
| გენგამი | 26 | 6 | 8 | 12 | 24:42 | 26 |
| მეცი | 24 | 7 | 3 | 14 | 16:30 | 24 |
| ლორიანი | 26 | 6 | 6 | 14 | 35:52 | 24 |

### II დივიზიონი

29-ე ტური: აიაჩო — მარტიგი 1:0; ამიენი — გენიონი 0:0; კაენი — სტრასბური 2:1; შატორუ — ნიორი 2:1; კრეტეი — ლავალი 0:0; გრენობლი — ნიცა 1:2; ლე მანი — ისტრი 2:2; ნანსი — ნიმი 1:1; სენტ ეტიენი — ბოვე 1:2; ვასკეალი — ლე ავრი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაჩო | 29 | 14 | 10 | 5 | 38:22 | 52 |
| ბოვე | 29 | 13 | 13 | 3 | 32:16 | 52 |
| ლე ავრი | 28 | 13 | 11 | 4 | 42:22 | 50 |
| სტრასბური | 26 | 14 | 7 | 5 | 36:18 | 49 |
| ნიცა | 29 | 14 | 4 | 11 | 38:30 | 46 |
| ლე მანი | 29 | 12 | 9 | 8 | 39:33 | 45 |
| შატორუ | 28 | 11 | 5 | 12 | 30:31 | 38 |
| ამიენი | 28 | 9 | 10 | 9 | 35:35 | 37 |
| გენიონი | 28 | 7 | 16 | 5 | 31:32 | 37 |
| ლავალი | 28 | 10 | 7 | 11 | 30:35 | 37 |
| კაენი | 29 | 9 | 9 | 11 | 41:45 | 36 |
| ვასკეალი | 28 | 9 | 8 | 11 | 33:38 | 35 |
| გრენობლი | 29 | 9 | 8 | 12 | 28:41 | 35 |
| ნანსი | 26 | 8 | 10 | 8 | 28:25 | 34 |
| სენტ ეტიენი | 28 | 7 | 10 | 11 | 26:36 | 31 |
| ნიორი | 29 | 5 | 14 | 10 | 27:32 | 29 |
| ისტრი | 28 | 5 | 14 | 9 | 26:31 | 29 |
| კრეტეი | 29 | 5 | 11 | 13 | 26:37 | 26 |
| მარტიგი | 28 | 6 | 7 | 15 | 23:39 | 25 |
| ნიმი | 28 | 3 | 15 | 10 | 23:34 | 24 |

### თასის მეოთხედფინალის წილისყრა

ნიმი (II) — მონაკო; სედანი — სტრასბური (II); პსჟ — ლორიანი; ლიბურნი (IV) — ბასტია

მატჩები გაიმართება 10 მარტს

# გარდაიცვალა ფეხბურთის მსახური



უოლტერ უინტერბოტომი

**ინგლისში** გარდაიცვალა იქაური ფეხბურთისთვის მართლაც რომ ისტორიული მოღვაწე, ეროვნული ნაკრების პირველი მენეჯერი სერ უოლტერ უინტერბოტომი.

სერ უოლტერი 89 წლისა აღესრულა შაბათს, გილფორდში, სარის სამეფო ჰოსპიტალში.

„ნიუკასლის" და ერთ დროს ნაკრების მენეჯერმა ბობი რობსონმა, რომელმაც თავის დროზე სწორედ უინტერბოტომის ხელში ითამაშა თავისი პირველი სანაკრებო თამაში, თქვა: „ის ერთ-ერთი განსაკუთრებული კაცი იყო, ამ ქვეყანამ რომ შვა ფეხბურთისთვის".

ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ჯიმი არმფილდმა კი განაცხადა, რომ სერ უოლტერმა დროს გაუსწრო.

უინტერბოტომი ნაკრებს 1946-62 წლებში წვრთნიდა. მან ბევრი იბრძოლა იმისთვის, რომ მისი ქვეყნის ფეხბურთის თავკაცებს მსოფლიოს ჩემპიონატებზე გაეშვათ ინგლისის ნაკრები. სერ უოლტერი ოთხ მსოფლიოს ჩემპიონატზე უძღოდა გუნდს და თუმცა დიდი ტიტული ვერ მოიგო, ძალიან ბევრი რამ შეცვალა გუნდის ხელმძღვანელობის პრინციპში. მენეჯერობის სისტემა, რომელიც დღეს არსებობს ბრიტანეთში, მისი შექმნილია. მის რევოლუციურ სამენეჯერო მაგალითს მიბაძეს თავის დროზე მომავალში დიდმა საკლუბო მენეჯერებმა, ბილ ნიკოლსონმა და ბილ შენკლიმ. მის ხელში ნაკრებმა 139 მატჩი ჩაატარა, 74 მოიგო, 32 ფრედ დაასრულა და 28 წააგო.

არც მანამდე და არც მერე ინგლისის ნაკრების სათავეში არავინ მდგარა ამდენ ხანს.

სერ უოლტერ უინტერბოტომი 1913 წლის 31 იანვარს დაიბადა ოლდემში, საფეხბურთო კარიერა კი „მანჩესტერ იუნაიტედში" გალია, სადაც სრულიად ახალგაზრდა, 25 წლისა შეეშვა თამაშს ხერხემლის მძიმე ტრავმის შემდეგ.

1946 წელს ნაკრების სამწვრთნელო დირექტორად დანიშნეს, მომდევნო წელს კი მენეჯერად. სამ დიდ სამეფო ჯილდოს შორის, რომელიც უინტერბოტომმა მიიღო, უმთავრესი რაინდის ტიტული იყო, რომელიც მან სპორტის სამსახურისთვის დაიმსახურა.

**ირაკლი გამყრელიძე**

## თურქეთი

23-ე ტური: გაზიანთეფი — დიარბაქირი 0:1; სამსუნი — ბურსა 2:3; მალათია — დენიზლი 0:0; გენჩლერბირლიგი — იოზგათი 3:2; ფენერბაჰჩე — გალათასარაი 1:0; გიოზთეფე — ქოჯაელი 3:0; ტრაბზონი — ისთანბული 2:0; ანთალია — რიზე 2:2; ბეშიქთაში — ანკარაგიუჯიუ 1:2

**მსგავსი რამ** იშვიათად ხდება, მაგრამ არა „ფენერბაჰჩე" — „გალათასარაის" პაექრობისას. მაინც რა მოხდაო, იკითხავთ და გეტყვით: 64-ედან მე-80 წუთამდე მსაჯმა ალი ადინმა „გალას" ოთხი ფეხბურთელი ერთიმეორის მიყოლებით გაყარა. ეს პატივი წილად ხვდათ: ემრეს, ბატისტას, ჰასან შაშს და ბიულენტს. ესღა აკლდათ „გალათასარაის" ფანებს, ერთი გნიასი და წიოკი ატეხეს, არიქა, გვჩაგრავენო. მეოთხე კაცის გაგდების შემდეგ „გალას" კოლუმბიელი მეკარე მონდრაგონიც გაცოფდა, თქვენი არ ვიცი, მე თამაშს აღარ გავაგრძელებო, მოედნიდან გაძიოდა. აბა, შენი ჭირიმე, მატჩს ნუ ჩავშლითო და აქეთ-იქით, როგორღაც დააბრუნეს კარში.

დამარცხებულთა ერთ-ერთმა მეპატრონემ კი ბრძანა, ამ შეხვედრის ვიდეოკასეტა მსაჯთა სემინარებზე უნდა გავაგზავნო, რათა ნახონ, როგორ არ უნდა იმსაჯონო. ეს კიდევ რაა, ლივერპულიდან მხვერავი იყო ჩასული სტამბოლში, მომავალ მეტოქეს აკვირდებოდა. პირველი ფეხბურთელი როგორც კი მიაბრძანეს, ადგა და წავიდა, აქ იმისთვის მოვედი გუნდების 11-11-ზე თამაში ვნახო და „გალათასარაი" ისე შევისწავლოო.

ასეთი ამბები ტრიალებდა სტამბოლური დერბისას, ერთადერთი, გამარჯვების გოლი კი ხორვატმა მილან რაპაიჩმა გაიტანა მონდრაგონის კარში, პირველი ტაიმის 27-ე წუთზე.

**გაჩა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 23 | 15 | 5 | 3 | 55:27 | 50 |
| ბეშიქთაში | 23 | 14 | 5 | 4 | 55:27 | 47 |
| ფენერბაჰჩე | 23 | 15 | 1 | 7 | 46:24 | 46 |
| ანკარაგიუჯიუ | 23 | 13 | 3 | 7 | 53:37 | 42 |
| გაზიანთეფი | 23 | 10 | 4 | 9 | 37:32 | 34 |
| ბურსა | 23 | 10 | 4 | 9 | 33:39 | 34 |
| ტრაბზონი | 23 | 9 | 5 | 9 | 36:36 | 32 |
| ისთანბული | 23 | 9 | 5 | 9 | 20:23 | 32 |
| გიოზთეფე | 23 | 8 | 7 | 8 | 23:36 | 31 |
| დენიზლი | 23 | 7 | 8 | 8 | 41:33 | 29 |
| დიარბაქირი | 23 | 8 | 4 | 11 | 35:40 | 28 |
| გენჩლერი | 23 | 7 | 7 | 9 | 32:38 | 28 |
| ქოჯაელი | 23 | 8 | 4 | 11 | 27:38 | 28 |
| რიზე | 23 | 6 | 9 | 8 | 29:32 | 27 |
| მალათია | 23 | 8 | 1 | 14 | 23:41 | 25 |
| სამსუნი | 23 | 6 | 4 | 13 | 21:35 | 22 |
| ანთალია | 23 | 5 | 7 | 11 | 33:50 | 22 |
| იოზგათი | 23 | 5 | 5 | 13 | 32:43 | 20 |

## ჩეხეთი

მე-18 ტური: ჟიჟკოვი — ბრნო 2:1; იაბლონეცი — ბანიკი 2:2; პრჟიბრამი — სინოტი 1:0; ოპავა — ბლშანი 0:2; ჰრადეც კრალოვე — სლავია 0:0; სიგმა — ბოჰემიანსი 1:1; ლიბერეცი — სპარტა 1:0; დრნოვიცე — ტეპლიცე 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟიჟკოვი | 18 | 14 | 1 | 3 | 31:13 | 43 |
| სპარტა | 18 | 14 | 0 | 4 | 39:10 | 42 |
| ბოჰემიანსი | 18 | 12 | 4 | 2 | 30:12 | 40 |
| ლიბერეცი | 18 | 11 | 5 | 2 | 34:16 | 38 |
| ბანიკი | 18 | 8 | 5 | 5 | 26:20 | 29 |
| სლავია | 18 | 7 | 5 | 6 | 29:25 | 26 |
| ბრნო | 18 | 7 | 4 | 7 | 21:30 | 25 |
| იაბლონეცი | 18 | 5 | 8 | 5 | 18:19 | 23 |
| ჰრადეც კრალოვე | 18 | 6 | 3 | 9 | 19:31 | 21 |
| ტეპლიცე | 18 | 5 | 4 | 9 | 19:26 | 19 |
| სიგმა | 18 | 4 | 7 | 7 | 15:23 | 19 |
| სინოტი | 18 | 5 | 4 | 9 | 15:24 | 19 |
| პრჟიბრამი | 18 | 5 | 3 | 10 | 16:26 | 18 |
| დრნოვიცე | 18 | 4 | 5 | 9 | 21:23 | 17 |
| ბლშანი | 18 | 5 | 1 | 12 | 22:34 | 16 |
| ოპავა | 18 | 2 | 1 | 15 | 12:35 | 7 |

## საბერძნეთი

მე-16 ტური: ოფი — პანიონიოსი 0:0; ოლიმპიაკოსი — პაოკ 3:2; პანათინაიკოსი — აკრატიტოსი 1:0; ირაკლისი — იონიკოსი 3:0; ეთნიკოსი — პანაჰაიკი 1:1; არისი — ეგალეო 1:0; ქსანთი — აეკ 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 16 | 11 | 1 | 4 | 39:18 | 34 |
| პანათინაიკოსი | 16 | 10 | 3 | 3 | 32:15 | 33 |
| ოლიმპიაკოსი | 16 | 9 | 5 | 2 | 38:21 | 32 |
| პაოკ | 16 | 9 | 4 | 3 | 33:24 | 31 |
| ქსანთი | 16 | 8 | 5 | 3 | 26:15 | 29 |
| ირაკლისი | 16 | 6 | 6 | 4 | 20:20 | 24 |
| არისი | 16 | 6 | 5 | 5 | 18:17 | 23 |
| ოფი | 16 | 6 | 4 | 6 | 18:17 | 22 |
| პანიონიოსი | 16 | 5 | 5 | 6 | 20:25 | 20 |
| იონიკოსი | 16 | 3 | 5 | 8 | 12:29 | 14 |
| ეთნიკოსი | 15 | 3 | 4 | 8 | 13:21 | 13 |
| ეგალეო | 16 | 3 | 3 | 10 | 17:32 | 12 |
| აკრატიტოსი | 15 | 2 | 3 | 10 | 13:23 | 9 |
| პანაჰაიკი | 16 | 1 | 5 | 10 | 16:38 | 8 |

## შვეიცარია

### თასის მერვედფინალი

შაფჰაუზენი — ციურიხი 0:3დ.დ. (0:0); ლუცერნი — აარაუ 1:0დ.დ. (0:0); ვანგენი — დელემონი 3:2; ბელინცონა — იანგ ბოისი 1:2; კოლომბიე — ბაზელი 0:1; თუნი — ლოზანა 2:4დ.დ. (2:2); ვილი — ლუგანო 3:2; ივერდონი — გრასჰოპერი 0:1

## ბელგია

I დივიზიონი. XXIII ტური

**ლიერსი 1:2 გენკი**

1:0 დე როეკი (4), 1:1 დაგანო (45), 1:2 ტიისი (64პ)

ლიერსი: მარდულიე, ლაერემანსი, ნიკოლოვსკი, დე როეკი, კაციჩი, შიშილაძე, ლეენი, გადიაგა, სნოექსი, სელსი, ბიუსგემსი

მწვრთნელი: ვალტერ მეეუსი

მსაჯი: ვან ეეკე

10 000 მაყურებელი

**შარლერუა 1:0 ლოკერენი**

1:0 კამუსი (66)

**ბეერსხოტი 1:0 სენტ ტრუიდენი**

1:0 მუტავჯიჩი (38)

**ლომელი 3:1 ბევერენი**

1:0 მენესი (2), 2:0 ბოდკენსი (29), 3:0 მენესი (82), 3:1 დანილევიჩიუსი (89)

**მოლენბეკი 1:1 მუსკრონი**

1:0 იარაკოვიჩი (7), 1:1 მ. მპენზა (83)

**აალსტი 0:0 ლუვიე**

**ბრიუგე 1:0 ანდერლეხტი**

1:0 სიმონსი (85პ)

**გენტი 3:3 ანტვერპენი**

1:0 ტატე (18ს.კ.), 2:0 ოიავოლე (38), 2:1 მუსა (46), 3:1 შეპენსი (59), 3:2, 3:3 პინშენი (65, 90)

**სტანდარდი 2:2 ვესტერლო**

0:1 ტომპსონი (13), 1:1 შაეხარი (55), 1:2 დელენი (80), 2:2 კაველსი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 23 | 17 | 1 | 5 | 55:26 | 52 |
| გენკი | 22 | 13 | 8 | 1 | 62:30 | 47 |
| ანდერლეხტი | 22 | 13 | 6 | 3 | 51:24 | 45 |
| გენტი | 23 | 12 | 7 | 4 | 41:31 | 43 |
| ლოკერენი | 23 | 12 | 6 | 5 | 34:22 | 42 |
| სტანდარდი | 22 | 12 | 5 | 5 | 42:27 | 41 |
| მუსკრონი | 23 | 11 | 3 | 9 | 47:30 | 36 |
| ბეერსხოტი | 22 | 8 | 8 | 6 | 43:32 | 32 |
| სენტ ტრუიდენი | 23 | 9 | 4 | 10 | 33:33 | 31 |
| შარლერუა | 23 | 8 | 4 | 11 | 23:43 | 28 |
| ლომელი | 23 | 7 | 6 | 10 | 35:40 | 27 |
| ვესტერლო | 23 | 7 | 5 | 11 | 38:45 | 26 |
| მოლენბეკი | 23 | 7 | 4 | 12 | 31:41 | 25 |
| ლიერსი | 23 | 5 | 6 | 12 | 35:45 | 21 |
| ანტვერპენი | 23 | 5 | 6 | 12 | 32:44 | 21 |
| ლუვიე | 23 | 4 | 8 | 11 | 25:44 | 20 |
| აალსტი | 23 | 4 | 4 | 15 | 18:51 | 16 |
| ბევერენი | 23 | 2 | 7 | 14 | 24:61 | 13 |

### II დივიზიონი

25-ე ტური: მონსი — ლიერი 2:1; გეელი — ვირტონი 1:1; ჰეუსდენი — სერკლი 1:1; პატრო — ოვერმეირე 1:1; მეხელენი — დენდერ 1:0; ფლანდრია — დარინგი 1:3; ტიენენი — სტრომბეკი 2:0; რუზელარე — დენდერლეუვე 1:0; ეუპენი — რონსი 1:0

# ჩემპიონთა ლიგა II ჯგუფური ეტაპი. III ტური. დღეს

ბიბლიოთეკა

## C ჯგუფი

### რეალი — პორტუ

**სავარაუდო შემადგენლობები**

კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, პავონი, ელგერა, მაკელელე, ფიგუ, ზიდანი, მორიენტესი, გუტი
**მწვრთნელი:** ვისენტე დელ ბოსკე

ვიტორ ბაია, იბარა, სეკრეტარიუ, ანდრადე, კარვალიუ, სოდერსტრიომი, პავლინი, პარედესი, დეკო სოუზა, ნუნუ კაპუშუ, პენა
**მწვრთნელი:** ჟოზე მაურინიუ

მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ". მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

### სპარტა — პანათინაიკოსი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ჩეხი, მინარი, ჰუბშმანი, ირჟი ნოვოტნი, ფლახბარტი, სიონკო, იაროშიკი, ზელენკა, მიხალიკი, ჰარტიგი, კინცლი
**მწვრთნელი:** იაროსლავ ჰრებიკი

ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, სეიტარიდისი, გუმასი, ფიცოსი, კოლკა, ბასინასი, კარაგუნისი, ვლაოვიჩი, ლიბეროპულოსი, ოლისადებე
**მწვრთნელი:** სერხიო მარქარიანი

პრაღა. „ლეტნა". მსაჯი: სტიუარტ დუგალი (შოტლანდია)



ლუიშ ფიგუ

## დელ ბოსკემ რაულის ფეხი შეინახა

**დღეს** ჩემპიონთა ლიგა განახლდება, რომელსაც ერთი დებიუტანტი ნამდვილად ეყოლება. გასაგებია, რომ ახალ გუნდზე არ არის ლაპარაკი, მაგრამ ლიგაში ახალი მწვრთნელია. მას ჟოზე მაურინიუ ჰქვია, ახლო წარსულში „ლეირიას" თავკაცობდა და საკმაოდ წარმატებულადაც. მერე ეს კაცი „პორტუს" ბოსებს მოეწონათ და ამ ერთი თვის წინ თავისთან უხმეს.

ასე რომ, ჟოზე მაურინიუს პირველივე სალიგო მატჩში ესპანეთის სამეფო კარზე მოუწევს გამოცდის ჩაბარება მადრიდის „რეალთან".

მადრიდულ გრანდს, მიუხედავად იმისა, რომ ბილბაოს „ატლეტიკთან" ტრავმა მიიღო, რობერტო კარლოსი, ალბათ, მაინც დაეხმარება. გოლეადორი რაული კი შესაძლოა, ბოლო ხანს მივიწყებულმა ხოსე მარია გუტიერესმა შეცვალოს. რაულს, რომლის სწრაფად მომჯობინებასაც ვარაუდობდნენ, „ვალიადოლიდთან" ნატკენი ფეხი ოდნავ გაუმიზეზდა და ვისენტე დელ ბოსკე მის გაყვანას არ გარისკავს. შეგახსენებთ, მადრიდელებს ქულათა მაქსიმუმი აქვთ და „პორტუს" წაქცევით მეოთხედფინალის საგზურს კიდევაც გაინაღდებენ. ამის გაკეთება კი ფიგუ-ზიდანიან „სამეფო კლუბს", ვფიქრობთ, არ უნდა გაუჭირდეს.

რაც შეეხება „პორტუს", მას ჯგუფიდან გასაღწევად გვარიანი ოფლის ღვრა მოუწევს. გუნდს დაუბრუნდა ვიტორ ბაია და კარსაც ის დაიცავს. მოკლედ, „პორტუ" ბრძოლისთვის მზადაა.

პრაღაში „სპარტა" „პანათინაიკოსს" ოდნავ შეცვლილი სახით დაუხვდება. ჩეხეთის ჩემპიონატის მეორე წრე ახალი დაწყებულია და „სპარტამ" ორი შეხვედრიდან ერთის წაგება უკვე მოასწრო. ამის მიზეზად კი სლოვაკი მცველის, ვლადიმირ ლაბანტისა და ჩეხი ნახევარმცველის მარტინ ჰაშეკის გუნდიდან წასვლას ასახელებენ. პირველი ლონდონის „ვესტ ჰემში" გადაბარგდა, მეორე კი მეზობლად, ავსტრიაში, დედაქალაქურ „აუსტრიას" შეუერთდა.

ჩეხთა გუნდი ასევე მოისაკლისებს განაპირა მცველებს — ზდენეკ გრიგერას და პაველ მარეკს, ხოლო შემტევი ნახევარმცველის, ლიბორ სიონკოს მინდორზე გასასვლელად ექიმის საბოლოო დასტური სჭირდება.

საფიქრებელია, რომ „სპარტას" თავკაცს საბერძნეთის ჩემპიონატში „პანათინაიკოსის" ბოლოდროინდელი, ზედიზედ მოგებული თამაშებიც სერიოზულად დააფიქრებს. ბერძნულმა გუნდმა შვიდმატჩიანი მოგებათა სერია მოქსოვა და გამორიცხული არაა, „სპარტაც" იქ გაიხლართოს.

„პანათინაიკოსს" დისკვალიფიკაციის გამო ტაკის ფისასი დააკლდება, ხოლო დანიელი ნახევარმცველი იან მიკაელსენი ტრავმას შეუწუხებია. იმასაც შეგახსენებთ, რომ ბერძნებს ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მეორე ჩეხური გუნდი, „სლავია" გადაეყარა და „პანათინაიკოსმა" ის ორივე მატჩში დაამარცხა.

**მაკა ხუციშვილი**



ზინედინ ზიდანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| სპარტა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| პორტუ | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| პანათინაიკოსი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |

## D ჯგუფი

### ლევერკუზენი — არსენალი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბუტი, ჟივკოვიჩი, ლუსიო, იენს ნოვოტნი, პლასენტე, შნაიდერი, ბალაკი, ბაშთურქი, ზე რობერტო, კირსტენი, ნოივილი
**მწვრთნელი:** კლაუს ტოპმიოლერი

რაიტი, დიქსონი, კემპბელი, გრიმანდი, ლორენი, პირესი, პარლოუ, ვიეირა, ვან ბრონკჰორსტი, ანრი, ბერხკამპი (ან ვილტორდი)
**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი

ლევერკუზენი. „ბაიარენა". მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

### იუვენტუსი — დეპორტივო

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბუფონი, ტურამი, ფერარა, იულიანო, პესოტო, ძამბროტა, ტაკინარდი, კონტე, დავიდსი, დელ პიერო, ტრეზეგე
**მწვრთნელი:** მარჩელო ლიპი

მოლინა, ექტორი, ნაიბეტი, სეზარი, რომერო, მაურო სილვა, ჯალმინია, სკალონი, ამავისკა, სერხიო, ტრისტანი
**მწვრთნელი:** ხავიერ ირურეტა

ტურინი. „დელე ალპი". მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)

## თამამოკლე და მნაგრძელი

**ის, რასაც** „იუვენტუსის" აწ უკვე გადახოტრილი (და არა გადაპარსული) გოლკიპერი ჯანლუიჯი ბუფონი ამბობს, სიახლე არაა. ფაქტია, რომ დღევანდელი მატჩით ტურინული კლუბი ერთბაშად სამ ფრონტზე ბრძოლას აგრძელებს — იტალიის ჩემპიონატში, თასზე და ჩემპიონთა ლიგაში.

„თავის დროზე „პარმადან" „იუვენტუსში" ცნობილი მიზეზის გამო გადმოვედი — ჯილდოების მოხვეჭა მსურს და ამ ოცნების ასრულებაში სწორედ ეს კლუბი დამეხმარება. სამ ფრონტზე ბრძოლა კი მეამაყება" — განაცხადა ბუფონმა.

შეგახსენებთ, „იუვემ" ლიგის ბოლო შეხვედრა წააგო. ეს იყო ლონდონში, „არსენალთან". მაშინ „ბებერი ქალბატონი" სერია A-შიც ბორძიკებდა და ალაპარაკდნენ კიდეც კრიზისზე. მაგრამ, მას მერე ვითარება შეიცვალა.

„ჩემი აზრით პაველ ნედვედი, ლილიან ტურამი, მე, ანტონიო კონტე და ჩირო ფერარა უფრო ძლიერ გუნდს ვქმნით და ეს შედეგებზეც გვეტყობა. ლიგაში კი უახლოესი ორი შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია და ამიტომ „დეპორტივოსთან" ყურადღებით ვემზადებით. მე ვუცქირე ლაკორუნიელთა მატჩს „ბარსელონასთან". იქ „დეპორტივო" 2:3 დამარცხდა, მაგრამ ცხადია, რომ საქმე კარგი ფეხბურთის მიმდევარ კარგ გუნდთან გვაქვს" — განაგრძობს ბუფონი.

„იუვეს" მწვრთნელი, მარჩელო ლიპი კი ესპანელ მეტოქეს უფრო დაწვრილებით განიხილავს:

„ის, რომ ძლიერი გუნდია, ლიგიდანაც ჩანს და, ესპანეთის ჩემპიონატიდანაც, სადაც „რეალის" დარ გუნდებს ტოლს არ უდებს. გუნდში რამდენიმე უმაღლესი დონის მოთამაშეა, განსაკუთრებით კი ცენტრალურ თავდამსხმელს, დიეგო ტრისტანს გამოვარჩევ. ასეთი მეტოქე პატივისცემას იმსახურებს. ჩვენ კი დიდი გამოცდის წინაშე ვდგავართ, ზედიზედ სამი ურთულესი მატჩი გველის, მაგრამ არა უშავს, მზად ვართ".

ტრავმის გამო საეჭვოა „ბებერი ქალბატონის" ურუგვაელი მცველის, პაოლო მონტეროს თამაში, ხორვატ იგორ ტუდორს მწვრთელი შემოსწყრა, ასე რომ, დაცვის ცენტრში შესაძლოა ჩირო ფერარასთან ერთად, უკან დახეული მარკ იულიანო ვიხილოთ.

„დეპორტივოს" თავკაცი ხავიერ ირურეტა კი ამბობს:

„ტურინელები „ბარსელონასავით" ბევრ მომენტებს ვერ შეგვიქმნიან, მაგრამ ცხადია, რომ არც ჩვენ შეგვაქმნევინებენ. ჩემს გუნდს გადახალისება სჭირდება, ამიტომაც შემადგენლობას უთუოდ შევცვლი. მეტოქეს კი ალესანდრო დელ პიერო და დავიდ ტრეზეგე ჰყავს, რაც იმას ნიშნავს, რომ დიდ ხიფათის უნდა ველოდოთ".

გერმანელთა თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი ამბობს, რომ „არსენალთან" გაჯიბრება მისი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი იქნება.

„ლონდონელებთან ზედიზედ ორჯერ უნდა ვითამაშოთ და ყველაფერი აქ გადაწყდება. ისინი შინ ძლიერად უტევენ, მაგრამ სტუმრად დაკვირვებული კაცი სუსტ წერტილებს უპოვნის".

ტოპმიოლერისთვის დიდი დანაკარგი გერმანიის ნაკრების მცველი კარსტენ რამელო გახლავთ. მის ნაცვლად, სავარაუდოდ, ხორვატი ბორის ჟივკოვიჩს ვიხილავთ, ხოლო ამომავალი ვარსკვლავი ბერნდ შნაიდერი შუაში ითამაშებს. „არსენალის" ფრანგ თავდამსხმელს, ტიერი ანრის კი ტოპმიოლერი სავარაუდოდ ბრაზილიელ ლუსიოს მიუჩენს. დისკვალიფიკაცია მოიხადა არგენტინელმა მცველმა დიეგო პლასენტემაც.

ლონდონელთაგან ალბათ ტონი ადამსი არ იქნება. საბრალომ ხუთი თვე იმკურნალა მოედანს რომ დაბრუნებოდა და ფეხბურთის ასოციაციის თასზე „ჯილინგემთან" ჯაჯგურში ისევ საექიმო შეიქნა.

დისკვალიფიცირებულია ოლეგ ლუჟნი. მეტიუ აპსონი და მარტინ კიოუნიც არ იქნებიან.

უცნაურია, მაგრამ იქნება დენის ბერხკამპიც. მართალია მას ფრენის ეშინია, მაგრამ თადარიგი დაიჭირა, გემით იმგზავრა და, როგორც ჩანს, თავის წვლილსაც შეიტანს.



პაველ ნედვედი (მარცხნივ) და ალესანდრო დელ პიერო

**ბაჩუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| არსენალი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| დეპორტივო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XXIV ტური

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 012 | ვალდჰოფი-ალემანია | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 22.00 | 013 | საარბრიუკენი-ფიურტი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 22.00 | 014 | ობერჰაუზენი-ჰანოვერი | 3,4 | 3,1 | 2,0 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXII ტური

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 021 | ურდინგენი-მიუნსტერი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 022 | ურდინგენი-მიუნსტერი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXII ტური

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 031 | ოფენბახი-ფულდა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 032 | ოფენბახი-ფულდა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი

19 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 041 | მიდლსბრო-ფულემი | 2,3 | 2,9 | 3,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი

გადადებული მატჩები

19 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 051 | ბარნსლი-ბრედფორდი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.45 | 052 | ქოვენთრი-უოლსოლი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 053 | ქოვენთრი-უოლსოლი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 23.45 | 054 | მილუოლი-ვესტ ბრომვიჩი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 23.45 | 055 | უიმბლდონი-უოტფორდი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| | | 20 თებერვალი | | | |
| 23.45 | 056 | ქრიუ-ვულვერჰემპტონი | 3,3 | 3,2 | 2,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXXV ტური

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 057 | ნორვიჩი-პრესტონი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

### ინგლისი. II დივიზიონი

გადადებული მატჩები

19 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 069 | კარდიფი-ბერი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.45 | 070 | ნორთჰემპტონი-პიტერბრო | 2,2 | 3,2 | 2,7 |
| 23.45 | 071 | ნოტსი-უიგანი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 23.45 | 072 | ოლდემი-ტრანმერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.45 | 073 | უიკომბი-ბლეკპული | 1,5 | 3,5 | 6,0 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XXXV ტური

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 074 | ტრანმერი-სუინდონი | 1,6 | 3,3 | 5,3 |

### ინგლისი. III დივიზიონი

გადადებული მატჩები

19 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 089 | დარლინგტონი-ჰარტლპული | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 23.45 | 090 | კარლაილი-ტორკი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 23.45 | 091 | ჩელტენჰემი-საუთენდი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 23.45 | 092 | კიდერმინსტერი-მაკლსფილდი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.45 | 093 | ლეიტონი-იორკი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 23.45 | 094 | ლუტონი-როჩდეილი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.45 | 095 | როჩდეილი-პლიმუთი | 2,4 | 3,1 | 2,6 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XXXV ტური

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 096 | ჰალი-მაკლსფილდი | 1,5 | 3,4 | 6,5 |

### იტალია. სერია „ბ“. XXV ტური

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 139 | რეჯინა-კოსენცა | 1,55 | 3,2 | 6,5 |

### პორტუგალია. I ლიგა. XXIV ტური

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 174 | გიმარაეში-სპორტინგი | 3,0 | 3,1 | 2,2 |

### პორტუგალია. II ლიგა

გადადებული მატჩი

20 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 185 | ფელგეირაში-რიუ ავე | 2,3 | 3,2 | 2,7 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი

გადადებული მატჩები

20 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 196 | სპარტა-ალკმაარი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 23.00 | 197 | დენ ბოსხი-გრონინგენი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. XXIV ტური

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 198 | ნაიმეგენი-გრააფსხაპი | 1,7 | 3,4 | 4,0 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი

გადადებული მატჩი

19 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 210 | ტელსტარი-მაასტრიხტი | 1,75 | 3,2 | 4,0 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. XXIV ტური

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 211 | ოსი-კამბური | 3,2 | 3,3 | 2,0 |
| 23.00 | 212 | ექსელსიორი-იგლსი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 213 | ექსელსიორი-იგლსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 214 | ზვოლე-დორდრეხტი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 215 | ზვოლე-დორდრეხტი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 23.00 | 216 | მაასტრიხტი-ჰერაკლესი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 23.00 | 217 | ეინდჰოვენი-ვენლო | 2,7 | 3,2 | 2,2 |

### ბელგია. I დივიზიონი. XXIV ტური

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 222 | ლევენ-გენტი | 3,3 | 3,2 | 2,0 |

### ჩეხეთი. XIX ტური

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 250 | ბოჰემიანსი-ჟიჟკოვი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

### თურქეთი. XXIV ტური

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 260 | ქოჯაელი-ბეშიქთაში | 3,4 | 3,2 | 1,95 |

### შოტლანდია. II დივიზიონი

გადადებული მატჩი

19 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 272 | ბერიკი-ჰამილტონი | 2,5 | 3,2 | 2,4 |

### ავსტრია. გადადებული მატჩი

19 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 282 | შტურმი-ტიროლი | 2,1 | 3,2 | 3,1 |

### პორტუგალია. თასი

ნახევარფინალი.

21 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 306 | ბრაგა-ლეიშეში | 1,25 | 5,0 | 9,0 |

### ჩემპიონთა ლიგა. II ეტაპი. III ტური

19 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 401 | სპარტა-პანათინაიკოსი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.45 | 402 | იუვენტუსი-დეპორტივო | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.45 | 403 | რეალი-პორტუ | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 404 | ლევერკუზენი-არსენალი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| | | 20 თებერვალი | | | |
| 23.45 | 405 | ბოავიშტა-ბაიერნი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 23.45 | 406 | ნანტი-მანჩესტერი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 23.45 | 407 | ბარსელონა-რომა | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.45 | 408 | ლივერპული-გალათასარაი | 1,45 | 3,6 | 6,5 |

### უეფას თასი. მერვედფინალი. I წრე.

19 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 409 | როდა-მილანი | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| 21.00 | 410 | ვალენსია-სერვეტი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | | 21 თებერვალი | | | |
| 22.00 | 411 | პსვ-ლიდსი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.15 | 412 | ლიონი-ლიბერეცი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.00 | 413 | ჰაპოელი ტელ ავივი-პარმა | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 23.45 | 414 | ლილი-დორტმუნდი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 24.00 | 415 | ინტერი-აეკ | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 24.05 | 416 | რეინჯერსი-ფეიენოორდი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

### კალათბურთი.

19 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 501 | ნიუ ჯერსი-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 05.00 | 502 | დალასი-მინესოტა | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 05.30 | 503 | სან ანტონიო-მემფისი | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 06.00 | 504 | ფინიქსი-სიეტლი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 07.00 | 505 | საკრამენტო-ატლანტა | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 07.30 | 506 | ლეიკერსი-ბოსტონი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| | | 20 თებერვალი | | | |
| 04.00 | 507 | ფილადელფია-გოლდენ სტეიტი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 04.30 | 508 | მაიამი-კლიპერსი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 04.30 | 509 | დეტროიტი-ვაშინგტონი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 05.00 | 510 | ტორონტო-შარლოტი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 05.00 | 511 | მილუოკი-ჰიუსტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.30 | 512 | ჩიკაგო-ნიუ იორკი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 06.00 | 513 | დენვერი-იუტა | 2,1 | 12,0 | 1,45 |
| 07.00 | 514 | სიეტლი-პორტლენდი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| | | 21 თებერვალი | | | |
| 04.00 | 515 | ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.00 | 516 | კლივლენდი-ლეიკერსი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 04.30 | 517 | ორლანდო-კლიპერსი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.00 | 518 | მემფისი-ფინიქსი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 05.30 | 519 | დალასი-ბოსტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 05.30 | 520 | ჰიუსტონი-მინესოტა | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 06.00 | 521 | სან ანტონიო-საკრამენტო | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 07.00 | 522 | პორტლენდი-ატლანტა | 1,1 | 12,0 | 4,0 |

### უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა.

19 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 21.00 | 601 | როდა-მილანი | 6,0-1,05 |
| 21.00 | 602 | ვალენსია-სერვეტი | 1,1-5,0 |
| | | 21 თებერვალი | |
| 22.00 | 603 | პსვ-ლიდსი | 2,8-1,3 |
| 22.15 | 604 | ლიონი-ლიბერეცი | 1,2-3,5 |
| 23.00 | 605 | ჰაპოელი ტელ ავივი-პარმა | 6,0-1,05 |
| 23.45 | 606 | ლილი-დორტმუნდი | 3,1-1,25 |
| 24.00 | 607 | ინტერი-აეკ | 1,05-6,0 |
| 24.05 | 608 | რეინჯერსი-ფეიენოორდი | 1,7-1,7 |

### ლიბერტადორესის თასი

19 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 417 | სანტიაგო უონდერერსი(ჩილე)-მონტევიდეო უონდერერსი(ურუგვაი) | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 01.00 | 418 | პენიაროლი (ურუგვაი)-რეალ პოტოსი (ბოლივია) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 02.10 | 419 | ოლმედო (ეკვადორი)-ატლეტიკო პარანენსე (ბრაზილია) | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 04.20 | 420 | სერო პორტენიო (პარაგვაი)-კობრელოა (ჩილე) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | | 20 თებერვალი | | | |
| 02.30 | 421 | 12 დე ოქტუბრე (პარაგვაი)-ორიენტე პეტროლერო (ბოლივია) | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 03.40 | 422 | გრემიო (ბრაზილია)-სიენსიანო (პერუ) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 04.00 | 423 | ბოლივარი (ბოლივია)-ამერიკა (კოლუმბია) | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 04.40 | 424 | ტულუა (ბოლივია)-ამერიკა (მექსიკა) | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | 21 თებერვალი | | | |
| 02.00 | 425 | ოლიმპია (პარაგვაი)-ონსე კალდასი (კოლუმბია) | 1,7 | 3,2 | 4,0 |
| 04.10 | 426 | ნასიონალი (ურუგვაი)-მონარკას მორელია (მექსიკა) | 1,65 | 3,2 | 4,4 |

### 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 19 თებერვალი | | | | | | | | | |
| 23.45 | 701 | სპარტა-პანათინაიკოსი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.45 | 702 | იუვენტუსი-დეპორტივო | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 23.45 | 703 | რეალი-პორტუ | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,2 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.45 | 704 | ლევერკუზ.-არსენალი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 21.00 | 705 | როდა-მილანი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 21.00 | 706 | ვალენსია-სერვეტი | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| | | 20 თებერვალი | | | | | | | | | |
| 23.45 | 707 | ბოავიშტა-ბაიერნი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,1 |
| 23.45 | 708 | ნანტი-მანჩესტერი | 5,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 5,0 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 23.45 | 709 | ბარსელონა-რომა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 23.45 | 710 | ლივერპული-გალათას. | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 4,7 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| | | 21 თებერვალი | | | | | | | | | |
| 22.00 | 711 | პსვ-ლიდსი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 22.15 | 712 | ლიონი-ლიბერეცი | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.00 | 713 | ჰაპოელი-პარმა | 5,3 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,7 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 23.45 | 714 | ლილი-დორტმუნდი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 24.00 | 715 | ინტერი-აეკ | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 24.05 | 716 | რეინჯერსი-ფეიენოორ. | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |

საქართველოს ჩემპიონატი

# რვაჯერ შვიდი არცთუ მშვიდი



აქეთ დინამოელი არმენ ოგანესიანი, იქით სტუდენტი კახა შენგელია

ირაკლი პერტაია

**ამ უქმეებზე** ვერის ბაღში ერთობ გიჟმაჟი სცენები დატრიალდა. იყო დაძაბულობა, ეფექტური სანახაობა, ბოლო წამებზე მოგებული მატჩები და... ვინაიდან ქართულ კალათბურთზეა ლაპარაკი, ასეთი ამბები უმუშტიკრივოდ როგორ ჩაივლიდა. შაბათის ცენტრალური მატჩი სტუ — „დინამო" კარატეკის ილეთებით შეზავდა, თუმც მღელვარება მანამდეც საკმაო იყო.

„ბასკოს" კვირას „აზოტთან" უწევდა თამაში და, ალბათ, ამით აიხსნება, სსუ-ს მისთვის „შეუფერებელი" ანგარიშით რომ მოუგო. სოხუმელებმა 82 ქულას მოუყარეს თავი. ამაზე მეტი კი ბათუმელთათვის ამ სეზონში მხოლოდ თსუ-ს ჩაუგდია, ისიც ორი ოვერტაიმის შემდეგ. ვაჟა კვარაცხელიას გუნდმა ბოლომდე იბრძოლა, 15 ქულით დამარცხდა და მაყურებელთა ტაშიც დაიმსახურა.

მომდევნო შეხვედრისთვის დარბაზში გულშემატკივარმა იმატა. ძირითადად რუსთაველთა ხარჯზე. „აზოტიც" შეთხელებულია და თსუ-ც, ამიტომ ბრძოლაც თანაბარი გაჩაღდა. პირველ ნახევარში ზურაბ ტომარაძის გუნდი უკეთ გაისარჯა. იყნოსა რა სტუდენტთა დაცვის სიძლიერე, „აზოტი" მეორე ათწუთეულში შორ სროლებზე გადავიდა. გოგობერიშვილისა და კურილჩუკის სიზუსტემ რუსთაველებს შუაწელში 11-ქულიანი ფორა მისცა — 50:39.

თსუ-მ სამქულიანის მისადგომები საიმედოდ ამოქოლა და რუსთაველებმა ხეირის ძიება ინდივიდუალური თამაშით იწყეს, მაგრამ მეტოქის დაცვის ჯებირის დაძლევას იშვიათადღა ახერხებდნენ. გელა წულაძის შეგირდები კი დაცვიდან მკვირცხლ შეტევაში გადადიოდნენ, არც გიორგი მარკოიშვილი აცუდებდა შორ სროლებს და თანდათან სხვაობა მცირდებოდა. ბოლო მეოთხედის შუაში ნიკოლაძემ სამქულიანით ანგარიში გაათანაბრა — 68:68. თამაში ქულა-ქულაში გაგრძელდა, სანამ ბოლო წუთი არ დაიწყო. აქ კი ისეთი რამ მოხდა, იშვიათად რომ ნახავთ. მატჩის დამთავრებამდე 10 წამით ადრე, როცა „აზოტი" 76:74 იგებდა, ვიქტორ კურილჩუკი საჯარიმო ხაზზე დადგა და მხოლოდ ერთი ჩააგდო. თსუ-ს მხოლოდ სამქულიანი შველოდა, რუსთაველები კი სირენამდე 3 წამით ადრე დაჯარიმდნენ. ახალკაცმა პირველი ჩაგდებული ბურთის შემდეგ მეორე განზრახ ააცილა, იმ იმედით, რომ მას თანაგუნდელი დაეპატრონებოდა და ორქულიანით ანგარიშს გაათანაბრებდა. გულივერს ვარაუდმა გაუმართლა: ფარიდან ასხლეტილი ბურთი კილაძეს მიუვიდა და გოგობერიშვილმა მას უმალ საჯარიმოს ხაზზე მიუჩინა ადგილი. კილაძემ დარბაზის გამაყრუებელი ყიჟინის თანხლებით ძირითადი დროის დამთავრებამდე წამით ადრე თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა — 77:77.

დამატებითი დროის ბოლო წუთზე გოგობერიშვილმა ხუთი ქულა მოინაგრა და დასრულებამდე 11 წამით ადრე „აზოტი" ქულით დაწინაურდა. ნიკოლაძემ ბურთი ბოლომდე გაათამაშა და მეტოქის ფარისკენ დაიძრა. როგორც მატჩის შემდეგ რუსთაველები ამტკიცებდნენ, კოკოლიშვილმა მასზე სუფთად ითამაშა, მაგრამ რაღას გახდებოდნენ, ნიკოლაძემ ორი საჯარიმო ჩააგდო და თსუ-ს 89:88 მოაგებინა.

სანამ მოწინავეების შერკინება დაიწყებოდა, „მაკაბიმ" მშვიდად მოუგვარა საქმე „ქუთაისს" — 105:71 და პირთამდე სავსე დარბაზი ამბიციური გუნდების ჯახის მოლოდინში გაყუჩდა. მოლოდინმაც გაამართლა.

არჩილ ღლენტისა და გოჩა წოწელიას სამქულიანებმა „დინამო" დებიუტშივე დააწინაურა — 8:1. ოგანესიანთან ფარქვეშ ვერაფერი გააწყო შენგელიამ. სტუ-ს არც სწრაფი კონტრშეტევები გამოსდიოდა, ღლენტი ხოშტარიას ლანდად ქცეულიყო და გასაქანს არ აძლევდა. თავად კი არ უჭირდა სტუდენტთა დაცვის დაწიოკება. შედეგად პირველ ნახევარში სტუ-მ ოდენ 28 ქულას მოუყარა თავი.

შესვენების შემდეგ სტუ-მ როგორც იქნა, გაარღვია „დინამოს" დაცვის ჯებირი და ანგარიშმაც ლღობა იწყო. შენგელიამ თავი დააღწია ოგანესიანის მარწუხებს, ხოშტარიამ სტუმართა ზონაში ნავარდი უხშირა და მატჩის დამთავრებამდე [illegible] თნახევრით ადრე ბაბიაშვილმა სტ[illegible] დააწინაურა — 69:67. „დინამო" ისე დაიბნა, აღარანაირი წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლო. აბრამიძემ სამქულიანით დამთავრებამდე 45 წამით ადრე სტუ-ს 4-ქულიანი ლიდერობა დაუბევა. ამ დროს თამაში თავის თავზე აიღო გამოცდილმა დავით ტურაშვილმა, ნახევარ წუთში მან ორი სამქულიანი ჩააგდო, რომელთაგან მეორე, დამთავრებამდე 6 წამით ადრე ჩაგდებული, გამარჯვებისა აღმოჩნდა — 74:73.

**თსუ** თანდათან უცნაური გუნდის სახელს იმკვიდრებს. სტუდენტები „აზოტის" სასწაულებრივად ძლევის შემდეგ, კვირას ისე, რომ შანსი [illegible]ჰქონიათ, „მაკაბისთან" დამარცხდნენ. გელა წულაძის გუნდმა ნორმალურად მხოლოდ პირველ მეოთხედში ითამაშა, როცა გიორგი მარკოიშვილის სიზუსტის წყალობით 27:23 გაიმარჯვა. [illegible] ორე მეოთხედიდან თსუ-ელთა ყურ[illegible] სოაცოდაობა იყო. მაკაბელებმა მრავალნაცადი ზონა დააყენეს და კონტრშეტევებზე ტყუპი ბერიშვილების იმედზე იყვნენ. ჯამლეთ ხუხაშვილის გუნდს ყველაფერი გამოსდიოდა, ირაკლი კე[illegible] კი საერთოდ აიშვა, ერთხელაც ისე იყოჩაღა, რომ ორნახევარ წუთში 12 ქულა მიითვალა და რვაწუთიანი მონაკვეთი „მაკაბის" 23:3 მოაგებინა.

დიდი შესვენების შემდეგ თსუ ბევრს ეცადა, მაგრამ „მაკაბიმ" 15-ქულიანი უპირატესობა ხელიდან არ გაუშვა.

სსუ — „ქუთაისის" მატჩი ცოტა ხნით ადრე რომ გამართულიყო, უეჭველად დაძაბული იქნებოდა, კვირას კი იმერლები სოხუმელების წინააღმდეგ სამი წამყვანი მოთამაშის გარეშე გავიდნენ. მათ ბადრიძე, ბარბაქაძე და კუნთგაწყვეტილი კეშელავა აკლდათ. სსუ მთელი თამაში წინ იყო, ქუთაისელების მოიახლოვების ყოველ მცდელობას საძირკველშივე სპობდა და ვაჟა კვარაცხელიას გუნდმა ამ სეზონის მ[illegible] მატჩიც მოუგო იმერლებს.

იოტისოდენა დააკლდა „შევარდენს" ჩემპიონატის ყველაზე ხმაურიან სენსაციამდე. ავიაქარხნის გუნდი სტუ-ს ხვდებოდა და გულშემატკივარს ამ მატჩის მალე მორჩენის სურვილი ჰკლავდა, რათა „აზოტი" — „ბასკო" ეხილა, მაგრამ ისე მოხდა, რომ მუდამ ჩემპიონობისთვის მებრძოლთა ჭიდილი ტაკიმასხარაობა გამოდგა ქვეცხრილელი „შევარდენისა" და სტუ-ს მატჩთან შედარებით.

სეზონი ისე ჩაივლის ხოლმე, ერთი ოვერტაიმი თუ გამოერევა. ამ შაბათკვირას კი ერთბაშად ორ მატჩში დაინიშნა დამატებითი დრო. საოცრება ის არის, რომ ორივე, თსუ — „აზოტიც" და „შევარდენი" — სტუ-ც ერთნაირი ანგარიშით — 77:77 დასრულდა. მეორე შედეგი, ცხადია, მოულოდნელია, მაგრამ უარესიც მოხდებოდა, ბოლო შეტევისას შევარდენელ გიორგი ჩხეიძეს რომ ეხეირა.

სტუდენტები სუსტ მეტოქესთან თავდაჯერებული გავიდნენ მოედანზე. ასე იყო პირველ წრეშიც, როცა „ბასკოს" ძლევის შემდეგ სტუდენტები „მაკაბისთან" დამარცხდნენ, მაგრამ ამჯერად სირცხვილს გადაურჩნენ. დამატებით დროში ძალაგამოლეული „შევარდენი" კაზანჯიანის სამქულიანების იმედად იყო, რომელმაც ძირითადი დროის დამთავრებამდე ნახევარი წუთით ადრე ექვსმეტრსმიღმიანით ანგარიში გაათანაბრა. მანამდე მოედანზე ლანდად მოარული ირაკლი ხოშტარია დამატებით დროში გამოერკვა და სტუ-ს გამარჯვებას რაღა დაუდგებოდა წინ.

ძველი დრო რომ იყოს, „აზოტი" — „ბასკოს" მატჩისთვის ეგებ გვერდიც დაგვეთმო, მაგარმ ახლა რომ ასე ვქნათ, მასზე რუსთაველთა უსუსურობის მეტი არაფერი აისახება. წინა მატჩში ფეხნატკენი გოგობერიშვილის გარეშე დარჩენილმა „აზოტმა", რომელსაც უკრაინელი ოლეგ შპუნდი შეუმატებია, წინააღმდეგობა ვერ გაუწია ჩემპიონს და უკვე მეოთხე ათწუთეულის დაწყებამდე უიმედო შეიქნა.

| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 13 | 12 | 1 | 1238:884 | 25 |
| აზოტი | 14 | 10 | 4 | 1125:964 | 24 |
| დინამო | 13 | 10 | 3 | 1118:923 | 23 |
| სტუ-ჯეოსელი | 12 | 8 | 4 | 1035:880 | 20 |
| თსუ | 13 | 7 | 6 | 1024:1020 | 20 |
| მაკაბი | 13 | 7 | 6 | 1118:1150 | 20 |
| შევარდენი | 13 | 3 | 10 | 854:1042 | 16 |
| სსუ | 13 | 2 | 11 | 863:1101 | 15 |
| ქუთაისი | 14 | 0 | 14 | 993:1344 | 14 |



რუსთაველი „პატარა ზოისი" — ანატოლი ბაკულევ ვლადიმერ ბეჟანიშვილს ბურთში ვერ შეეცილა

16 თებერვალი. ვერის ბაღი

**სსუ 82:97 ბასკო**

20:32, 17:32, 26:22, 19:11
სსუ: გ. ღლენტი (5), სორდია (9), ძიძიგური (13), აბულაძე (15), ერქვანია (3), ჩიტაშვილი (6), ტაბატაძე (9), ბ. ქვილითაია (10), ვ. ქვილითაია (2), მ. ხოშტარია
ბასკო: როჯერსი (6), მ. მარკოიშვილი (33), ტუჯანი (8), ბეჟანიშვილი (6), ბერძენიშვილი (10); თორთლაძე (10), საყვარელიძე (7), არხიპოვი (4), ათუაშვილი, იმნაძე (2), ორმოცაძე (11), ჩხატარაშვილი
მსაჯები: როლანდ გელოვანი, დავით მაჭავარიანი
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**თსუ 89:88 აზოტი**

19:21, 20:29, 21:16, 17:11, 12:11
თსუ: ნიკოლაძე (28), ხეცურიანი, არსიაშვილი (6), გ. მარკოიშვილი (18), კილაძე (15), ვეფხვაძე, ახალკაცი (3), შანიძე (19)
აზოტი: გაბისონია (2), გოგობერიშვილი (37), კურილჩუკი (25), ბერუაშვილი (15), მაჭარაძე (6); ბოისა, კოკოლიშვილი (3)
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, მაკა კუპატაძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**მაკაბი 105:71 ქუთაისი**

23:18, 20:17, 28:16, 34:20
მაკაბი: დ. ბერიშვილი (19), ი. ბერიშვილი (26), კეიდია (26), ფიცხელაური, სუხიშვილი (24); სარიშვილი (6), კრიხელი (4)
ქუთაისი: ბადრიძე (14), კვიმსაძე (29), ბერეკაშვილი (2), კუპრეიშვილი (2), ბოლქვაძე (15); ქოქოსაძე (6), პირტახია (1), დარახველიძე (2)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ლია ქაჯაია
კომისარი: ნოდარ დარახველიძე

**დინამო 74:73 სტუ**

20:13, 19:15, 14:20, 21:25
დინამო: ა. ღლენტი (10), წოწელია (13), რ. ჩხეიძე (6), ჩუბინიძე (11), ოგანესიანი (11); [illegible]კოლაშვილი (3), ტურაშვილი (11), ბე[illegible]ია, ჯაფარიძე (9)
[illegible] მარხვაშვილი, ი. ხოშტარია (17), ლოსაბერიძე (1), ბაბიაშვილი (17), შენგელია (18); გაგნიძე (2), ოთიურიძე, მინაშვილი (4), დავითულიანი (5), აბრამიძე (9)
მსაჯები: გია მოლოდინაშვილი, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: მურმან ქურიძე

17 თებერვალი. ვერის ბაღი

**ქუთაისი 67:80 სსუ**

17:25, 15:19, 14:15, 21:21
ქუთაისი: კვიმსაძე (22), კუპრაშვილი (2), ქოქოსაძე (1), ბერეკაშვილი (8), ბოლქვაძე (21); დარახველიძე (5), შავლაყაძე (4), პირტახია (4)
სსუ: გ. ღლენტი (11), სორდია (26), ძიძიგური (6), აბულაძე (13), ერქვანია (4); ჩიტაშვილი, ლაცუზბაია (5), ტაბატაძე (13), მ. ხოშტარია, ბ. ქვილითაია (2)
მსაჯები: როლანდ გელოვანი, დავით მაჭარაშვილი
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**მაკაბი 90:81 თსუ**

23:27, 29:10, 19:23, 19:21
მაკაბი: დ. ბერიშვილი (14), ი. ბერიშვილი (27), კეიდია (22), ფიცხელაური (7), სუხიშვილი (14); სარიშვილი (7), კრიხელი
თსუ: ნიკოლაძე (13), გ. მარკოიშვილი (38), შანიძე (2), კილაძე (8), ახალკაცი (8); არსიაშვილი (3), ვეფხვაძე (9), ზანგურაშვილი
მსაჯები: მაია კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**სტუ 89:82 შევარდენი**

21:17, 18:26, 18:16, 20:18, 12:5
სტუ: აბრამიძე (2), ი. ხოშტარია (12), ლოსაბერიძე (5), დავითულიანი (9), შენგელია (24); ბაბიაშვილი, გაგნიძე (2), მარხვაშვილი (8), მინაშვილი (27)
შევარდენი: ნ. ნოზაძე, გ. ჩხეიძე (19), გელაშვილი (2), ბ. ნოზაძე (33), ქევხიშვილი (11); ნუცუბიძე (2), კაზანჯიანი (9), ჭირაქაძე (4), გამყრელიძე (2)
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, ხათუნა გაბედავა
კომისარი: ნოდარ დარახველიძე

**აზოტი 74:89 ბასკო**

15:23, 11:24, 18:27, 30:15
აზოტი: გაბისონია (6), კურილჩუკი (26), კოკოლიშვილი (15), შპუნდი (11), მაჭარაძე (4); ბერუაშვილი (3), ბოისა (1), ჯიმშელეიშვილი (8)
ბასკო: როჯერსი (14), მ. მარკოიშვილი (15), ტუჯანი (11), ბეჟანიშვილი (17), ბერძენიშვილი (10); ჩხატარაშვილი, თორთლაძე (4), საყვარელიძე, არხიპოვი (16), ორმოცაძე (12) ათუაშვილი
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: მურმან ქურიძე

## NBA რეგულარული ჩემპიონატი




AP მილუოკიდან

მაიამელ ვლადიმერ სტეფანიას და მილუოკელ ირვინ ჯონსონს ბურთი გაექცათ

# რას შვრები, ჯო?!

**15 თებერვალი**

**მილუოკი 88:90 მაიამი**
ძირითადი დრო 82:82
**მილუოკი:** ალსტონი (3 ქულა, 10 პასი), ალენი (30), რობინსონი (25 ქულა, 11 მოხსნა), მეისონი (5), პრფიბილა (2); ტომასი (11), რედი (4), პემი (4), ჯონსონი (4 ქულა, 15 მოხსნა)
**მაიამი:** სტრიკლენდი (3), ჯონსი (22 ქულა, 7 ჩაჭრა), გილი (10), გრანტი (21 ქულა, 13 მოხსნა), მურნინგი (14); ელისი (8), ჯეკსონი (7), მაუსი (3), სტეფანია (6 წუთი, 2 ქულა), გეტლინგი

**17 თებერვალი**

**მინესოტა 93:80 მაიამი**
**მინესოტა:** ბილაფსი (23), შჩერბიაკი (22), გარნეტი (12 ქულა, 12 მოხსნა), სმიტი (11), ნესტეროვიჩი (8); პილერი (8), მიტჩელი (5), ვუდსი (2), ლოპესი (2), აივერი, გარიტი
**მაიამი:** სტრიკლენდი (6), ჯონსი (17), გილი (3), გრანტი (6), მურნინგი (10); ჯეკსონი (13), მაუსი (12), სტეფანია (18 წუთი, 6 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება), ჯეიმსი (3), მარქსი (2), გეტლინგი (2), ელისი

„მინესოტასთან" ნამარცხევს „მაიამის" მწვრთნელი პატ რაილი უხასიათოდ გახლდათ: „ბოლო 15 თამაშიდან 12 მოვიგეთ და თავი მატჩების 80 პროცენტის მომგებად წარმოვიდგინეთ. ჩემი ბიჭები, ეტყობა, ბელურის მოკვლამ დააბრმავა და ვერ ხედავენ, რომ მათ გამარჯვებათა გრაფაში 40 პროცენტი წერია".

ახლა, როცა „მაიამის" ყოველი მარცხი თითო ჭრილობად უღირს, მინეაპოლისში ვერმოგება საწყენად დაურჩა პატ რაილის. მას უმწიკვლო სახელის შებღალვის ეშინია. ორი ათეული წელია, რაილი ნბა-ში მოთამაშეებს სხვების დაჯაბნას ასწავლის და პლეი ოფში ვერმოხვედრა პირველად ემუქრება.

მინეაპოლისში იქაურ „მგლებთან" უიმედო მარცხის მიუხედავად, „მაიამიმ" ამ უქმეებზე კიდევ კარგად ივაჟკაცა, ორი შეხვედრიდან ერთი მოიგო და ორივეს წამგებ უახლოეს მეზობელ „ნიუ იორკს" ატლანტიკაში თავისი, ბოლო ადგილი დაუთმო. ატლანტიკის ფსკერიდან თავის დაღწევამაც ვერ გაახარა „ჰითის" ნაოჭმრავალი მწვრთნელი: „ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, კონფერენციაში მეთერთმეტე კი არა მეცხრე ადგილი არ დამაკმაყოფილებს".

ისე კი, რაილი და მისი რაზმი მაინცდამაინც უკმაყოფილონი არ უნდა იყვნენ. პარასკევს მილუოკიში „მილუოკი" დაამარცხეს და ამას საკუთარ მარჯვენაზე მეტად მსაჯის სიბეცეს უნდა უმადლოდნენ.

ბოლო ხანებში უხეიროებთან მარცხნახშირებმა „ბაქსმა" მიზნად „მაიამის" ძლევა დაისახა და საწადელს აისრულებდა კიდეც, მსაჯი ჯო ღეროსა რომ არ შემცდარიყო. ნერვებისდამწყვეტი მატჩის მეოთხე მეოთხედი იწურებოდა, ბოლო წამებზე „მილუოკი" 82:79 იგებდა, ხოლო ბურთს სტუმრები აკონტროლებდნენ. ბურთი საკუთარი ნახევრიდან სტუმართა უყოჩაღესმა დრიბლიორმა ედი ჯონსმა წაიღო და ამ ვარსკვლავმა, სამი „ოლ სტარის" მონაწილემ და საერთოდ დიდად საქებმა კაცმა ისეთი რამ გააკეთა, რისთვისაც ბავშვთა კალათბურთის მასწავლებლები თავიანთ 8-9 წლის მოწაფეებს სახტუნელათი სცემენ. „ეს ისეთი მამალი გარბენი იყო, სკოლის თამაშებშიც ვერ ნახავთ. ჯონსმა მინიმუმ ოთხი ნაბიჯი გაირბინა ბურთის დაუგდებლად, თან ზედ მსაჯის ცხვირწინ. ყველაფერი კი მსაჯის სიბრმავის გამო ჩვენი მარცხით დასრულდა" — ცხარობდა მატჩის შემდეგ „მილუოკის" თავიდათავი ჯორჯ კარლი.

გარბენის შემდეგ ჯონსმა ააცილა ნასროლი. სტუმართა საბედნიეროდ, ბურთი მაიამელებმა მოხსნეს, ჯიმი ჯეკსონმა სამქულიანი ჩააგდო და შეხვედრა ოვერტაიმში გადავიდა. ჯონსმა ოვერტაიმში გამოასწორა შეცდომა, რომელიც დაუსჯელი დარჩა — 88:88 ანგარიშზე დამთავრებამდე შვიდი წამით ადრე გამარჯვების მომტანი ორქულიანი ჩააგდო.

მილუოკური ზეობიდან ორ დღეში „მაიამი" იქვე, მინეაპოლისში იქაურებს შეერკინა და პირწმინდად წააგო. აღსანიშნავია, რომ „მაიამიცა" და „მინესოტაც" დაცვის მცოდნე გუნდები არიან, თუმც კი, თუ რაილის-შეგირდები ძველმოდურ, ერთი-ერთზე დაცვაში იჩენენ სიმარჯვეს, ფლიპ სანდერსის ბიჭებს წლეულს ნებადართული „ზონა" შეუსისხლხორცებიათ და სიმაღლის წყალობით „მაიამის" უცებ მოუგვარეს საქმე.

„მინესოტასთან" კარგა ხნით შერჩა მოედანს ჩვენებური ვოვა სტეფანია. იგი ხან 211-სანტიმეტრიან და ფრთად (!) გამწესებულ კევინ გარნეტს იჭერდა, ხანაც ოდესღაც სლოვენიურ „ოლიმპიაში" თანაგუნდელ რადოსლავ ნესტეროვიჩს და არც ურიგოდ, თუმც მისმა მონდომებამ ვერაფერი გადაწყვიტა.

**ირაკლი ფირცხალაიშვილი**

**15 თებერვალი**

**ფინიქსი 96:97 ვაშინგტონი**
ფინიქსი: მარბერი (30), დელკი (17)
ვაშინგტონი: ჰამილტონი (29), ჯორდანი (22)

**ტორონტო 85:94 იუტა**
ტორონტო: უილიამსი (26), კლერკი (22)
იუტა: მელოუნი (23), სტოქტონი (23)

**ნიუ იორკი 90:101 დეტროიტი**
ნიუ იორკი: სპრიუელი (25), ჰიუსტონი (22), ჰარინგტონი (14 ქულა, 12 მოხსნა)
დეტროიტი: ვოლესი (19 ქულა, 22 მოხსნა), ეტკინსი (19), სტეკჰაუზი (15)

**შარლოტი 116:106 ინდიანა**
შარლოტი: დევისი (38), კემბელი (23)
ინდიანა: კროშერი (23 ქულა, 11 მოხსნა), მილერი (21), როუზი (18), ბესტი (18)

**მინესოტა 98:99 დენვერი**
მინესოტა: პილერი (24), გარნეტი (20 ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი), შჩერბიაკი (18)
დენვერი: ლაფრენცი (30)

**ჩიკაგო 81:106 ნიუ ჯერსი**
ჩიკაგო: არტესტი (21), მასელი (20)
ნიუ ჯერსი: უილიამსი (23)

**პორტლენდი 104:107 ბოსტონი**
პორტლენდი: სტუდემაიერი (20), ვოლესი (18), პიპენი (17), უელსი (16 ქულა, 11 მოხსნა)
ბოსტონი: პირსი (31), უოლკერი (22), ბათი (17), ანდერსონი (14 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა, 5 ჩაჭრა)

**გოლდენ სტეიტი 99:108 სან ანტონიო**
გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (28)
სან ანტონიო: დანკანი (36 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი), დანიელსი (20), რობინსონი (16)

**ლეიკერსი 90:93 ატლანტა**
ლეიკერსი: ბრაიანტი (21 ქულა, 11 პასი)
ატლანტა: აბდურ-რაჰიმი (32)

**16 თებერვალი**

**კლიპერსი 119:110 დალასი**
კლიპერსი: პიატკოვსკი (36), მეჯიტი (21), მაგინისი (20 ქულა, 15 პასი)
დალასი: ფინლი (23), ჰოვარდი (19)

**ჰიუსტონი 100:109 ორლანდო**
ჰიუსტონი: ფრენსისი (27), მობლი (27 ქულა, 5 ჩაჭრა), ტომასი (21 ქულა, 12 მოხსნა)
ორლანდო: მაკგრედი (39 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი), არმსტრონგი (27), გარიტი (17)

**ჩიკაგო 101:114 კლივლენდი**
ჩიკაგო: ფიზერი (23), მილერი (22 ქულა, 14 მოხსნა, 7 პასი), მასელი (18)
კლივლენდი: მიური (37 ქულა, 12 მოხსნა), პერსონი (19), მილერი (18 ქულა, 15 პასი, 8 მოხსნა), პილი (16 ქულა, 15 მოხსნა)

**სიეტლი 99:79 ბოსტონი**
სიეტლი: პეიტონი (19), ბერი (17 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი), დრობნიაკი (16)
ბოსტონი: პირსი (24 ქულა, 11 მოხსნა)

**17 თებერვალი**

**საკრამენტო 116:126 სიეტლი**
საკრამენტო: ვებერი (39 ქულა, 11 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (20), კრისტი (19)
სიეტლი: პეიტონი (31 ქულა, 13 პასი), ლუისი (26), ბერი (18)

**პორტლენდი 111:105 ლეიკერსი**
პორტლენდი: უელსი (27 ქულა, 10 მოხსნა), ვოლესი (25), პატერსონი (22)
ლეიკერსი: ბრაიანტი (28), ჰორი (22)

**შარლოტი 78:92 მემფისი**
შარლოტი: კემბელი (17 ქულა, 11 მოხსნა), ნეილონი (17), დევისი (14 ქულა, 10 პასი)
მემფისი: სვიფტი (19), უილიამსი (17)

**ტორონტო 86:91 მილუოკი**
ტორონტო: უილიამსი (24), კლერკი (19)
მილუოკი: ალენი (20), კასელი (20)

**ფინიქსი 92:105 დალასი**
ფინიქსი: მარიონი (27 ქულა, 11 მოხსნა)
დალასი: ნოვიცკი (20 ქულა, 10 მოხსნა)

**ნიუ იორკი 89:92 იუტა**
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (29)
იუტა: მელოუნი (27 ქულა, 16 მოხსნა, 6 პასი), კოლინზი (19), სტოქტონი (15)

**ნიუ ჯერსი 98:77 დენვერი**
ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (17)
დენვერი: აბდულ-ვაჰიდი (14), ლენარდი (14)

**ინდიანა 86:79 ფილადელფია**
ინდიანა: როუზი (17)
ფილადელფია: სნოუ (13), მუტომბო (13)

**გოლდენ სტეიტი 94:100 ატლანტა**
გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (20)
ატლანტა: აბდურ-რაჰიმი (26 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი, 5 დაფარება)

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | მ | წ | % |
| ნიუ ჯერსი | 34 | 17 | 66,7 |
| ბოსტონი | 30 | 23 | 56,6 |
| ვაშინგტონი | 27 | 23 | 54,0 |
| ორლანდო | 27 | 25 | 51,9 |
| ფილადელფია | 25 | 26 | 49,0 |
| მაიამი | 20 | 30 | 40,0 |
| ნიუ იორკი | 20 | 31 | 39,2 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი | 29 | 21 | 58,0 |
| დეტროიტი | 28 | 22 | 56,0 |
| ტორონტო | 29 | 25 | 53,7 |
| ინდიანა | 26 | 27 | 49,1 |
| შარლოტი | 25 | 26 | 49,0 |
| ატლანტა | 19 | 33 | 36,5 |
| კლივლენდი | 18 | 33 | 35,3 |
| ჩიკაგო | 12 | 39 | 23,5 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 37 | 16 | 69,8 |
| მინესოტა | 35 | 17 | 67,3 |
| სან ანტონიო | 33 | 18 | 64,7 |
| იუტა | 29 | 24 | 54,7 |
| ჰიუსტონი | 17 | 34 | 33,3 |
| დენვერი | 16 | 33 | 32,7 |
| მემფისი | 15 | 37 | 28,8 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 39 | 13 | 75,0 |
| ლეიკერსი | 35 | 15 | 70,0 |
| პორტლენდი | 27 | 24 | 52,9 |
| სიეტლი | 27 | 25 | 51,9 |
| კლიპერსი | 26 | 27 | 49,1 |
| ფინიქსი | 25 | 27 | 48,1 |
| გოლდენ სტეიტი | 15 | 34 | 30,6 |



# გოგოცუნას ოცნება ამხლდა

## უილიამსთა ჯილდო 4 კილო ოქრო-ბრილიანტით გამდიდრდა

**ანტვერპენი. ხალიჩა**
**საპრიზო 585 ათასი $**

**ფინალი**
**ვინუს უილიამსი (1, აშშ) — ჟუსტინ ენენი (2, ბელგია) 6:3, 5:7, 6:3**

ყოველგვარი წესისა და კანონის თანახმად ეს ტურნირი ვინუს უილიამსის მრწემ დას სერენას უნდა მოეგო. მასვე უნდა რგებოდა გამარჯვებულისთვის დათქმული 4-კილოგრამიანი ოქროს ჩოგანი, რომელსაც, არც მეტი, არც ნაკლები, 1650 ბრილიანტი ამკობს და ფასად თითქმის ერთი მილიონი ევრო ანუ 873 ათასი დოლარი აწერია.

მაგრამ მოხდა ისე, რომ სერენამ იანვარში თავის ეშხიანი ფეხი დაიზიანა და ოჯახის ფინანსურად მოძლიერების შესაძლებლობა ისევ ვენერას მიეცა. ვენერას ეს შანსი არ გაუშვია. გადამწყვეტ შეხვედრაში მან შარშანდელი უიმბლდონის ფინალში მის მიერვე ძლეულ ჟუსტინ ენენს აჯობა.

ვირგლა ამერიკელისა და მის კლასს შორის არსებული ზორბა ნაპრალის მიჩქმალვა მასპინძელთა ჯილა ენენმა მხოლოდ მეორე სეტში მოახერხა, მაგრამ ვერც პირველში და ვერც მესამეში ვინუსის ხათქუნა ეისებს, ხაზიდან ხაზამდე ნაყუმბარევსა და ნაკუთხურევ ბურთებს ვერაფერი დაუპირისპირა.

ერთი კიდევ ეგეც იყო — მოგებული სეტის შემდეგ ენენს თითქოს ოდნავ უფრო დაღლილი მეტოქის ბოლომდე დამორჩილებაც შეეძლო, მაგრამ ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენა და ამის გამო ისე აღელდა, რომ მერე ჩოგნის განძრევაც ვერ მოახერხა.

„დაღლით მართლაც დავიღალე და ჟუსტინი მეტი ჯიგრით რომ გარჯილიყო, ეგებ მომრეოდა კიდეც — თქვა ნამატჩევს ვინუსმა — მაგრამ ეტყობა, ჯერ საკმარისად არ დაგრილებულა და საჭირო დროს კონცენტრირებას ამიტომაც ვერ ახერხებს".

რაც შეეხება ჯილდოდ ნარგებ ჯადო-ჩოგანს, ვინუსი მას „გოგოცუნას ოცნებას" უწოდებს. ეგ თუ გოგოცუნაა და...

**კოპენჰაგენი. ჰარდი**
**საპრიზო 400 ათასი $**

**ფინალი**
**ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია) — ოლივიე როში (ბელგია) 6:3, 6:3**

კარიერის პირველი სა-ATP-ო ტიტულის მოსაპოვებლად მსოფლიოში 83 ადგილზე მდგომ გერმანელ ლარს ბიურგსმიულერს 65-წუთიანი ფინალური შეხვედრის ჩათამაშება დასჭირდა. 26 წლის გერმანელი შესაშური გაშმაგებითა და აგრესიულობით თამაშობდა, ისე რომ, მასსავით განუთესავ ბელგიელს შეცილების ერთი შესაძლებლობაც არ მისცა.

21 წლისა და 103-ე ჩოგნის პყრობელ როშს ბიურგსმიულერი ადრე თებერვალში ვროცლავის ტურნირის მეოთხედფინალშიც გადაეყარა. მაშინ ბელგიელმა იმარჯვა. „იმ თამაშიდან ბევრი დასკვნა გამოვიტანე. სწორედ ამიტომ იყო, ძირითადად ბადესთან მიჭრას რომ ვლამობდი. ხაზიდან ხაზამდე ბურთაობისას უეჭველად დამამყნობდა" — ამბობდა გერმანელი. ხარეიტინგო მდგომარეობის გაუმჯობესებას ბიურგსმიულერი ახლა მემფისის ტურნირზე ეცდება.

„თუკი იქაც გამიმართლა, ეგებ ჩოგანი გერმანიის სადევისო გუნდსაც გამოვკრა. იმიტომ კი არა, რომ სხვაზე ბევრად უკეთესი ვარ, უბრალოდ ზოგისგან განსხვავებით გულიანად თავამაშს ვარჩევ", — მის ამ სიტყვებს ვინძლო საკმარისი საფუძველიც ჰქონდეს.

**დოჰა. თიხნარი**
**საპრიზო 170 ათასი $**

**ფინალი**
**მონიკა სელეში (1, აშშ) — ტამარინე ტანასუგარნი (4, ტაილანდი) 7:6, 6:3**

ამ ისე-რა ტურნირზე გალაღ. მ მსოფლიოს მე-6 ჩოგნის მქნეველ მონიკა სელეშს ბიუჯეტი 27 ათასი დოლარით გაუმდიდრა.

**მარსელი. ჰარდი**
**საპრიზო 400 ათასი $**

**ფინალი**
**ტომას ენკვისტი (შვედეთი) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 6:7, 6:3, 6:1**

მარსელის ტურნირზე ტომას ენკვისტს 1997 და 1998 წლებშიც ემარჯვა. შაბათის სამსეტა ნახევარფინალის შემდეგ, რომელშიც მან ტურნირზე მეორე ნომრად განთესილ შარშანდელ ჩემპიონ ევგენი კაფელნიკოვს აჯობა, ალბათ ცოტას თუ ეეჭვებოდა, რომ ფინალში სწორედ მას უნდა ეზეიმა. თუმცა ნიკოლა ესკუდეს შინ ბებერი სედრიკ პიოლინი და მოჯირითე ფორმაში მყოფი ბრიტანელი გრეგ რუზეცკი გაესტუმრებინა და თავი არანაკლებ ყინჩად ეჭირა.

ყველაფერი მეორე სეტის ერთ მომენტში გადაწყდა, როცა ფრანგმა თავის ჩაწოდებაზე ორმაგი შეცდომა დაუშვა და მერე ისე წაზდა, რომ ორი გადამწყვეტი სეტი სულ რიხინ-რიხინით ჩააბარა.

**ვინა დელ მარი. ჰარდი**
**საპრიზო 400 ათასი $**

**ფერნანდო გონსალესი (ჩილე) — ნიკოლას ლაპენტი (1, ეკვადორი) 6:3, 6:7 (5:7), 7:6 (7:4)**

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS

ტომას ენქვისტი



REUTERS

ვინუს უილიამსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაგანოს რეტრო

## ალსგაარდი იტალიელთა თავის ტკივილია


REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

დრამატული ფინიშის შემდეგ ტომას ალსგაარდმა გაიხარა, კრისტიან ძორძი მცირე ხნით შეწუხდა

### თხილამურობა

**15 ათასმა** კაცმა დიდი ინტერესით უჭვრიტა იმ დრამატულ ფინიშს, რომელიც 4X10-კილომეტრიან ესტაფეტაზე ნორვეგიის და იტალიის ნაკრებებმა შეასრულეს. საერთოდ, ესტაფეტის საწყისი ეტაპები კლასიკური სტილისაა, რასაც ორეტაპიანი ფრისტაილი მოსდევს.

თავიდან ნორვეგია კარგად დაწინაურდა. ანდერს აუკლანდმა პირველ 10 კილომეტრზე იტალიელ ფაბიო მაის 8,4 წამი მოუგო და ესტაფეტა ფროდე ესტილს გადასცა, რომელიც არანაკლები ენერგიით გაქანდა, პარალელურად იტალიელთა მეორე ნომერი ირჯებოდა მეტად უხეიროდ და ესტაფეტის ნახევრის ამოწურვისას ნორვეგია 11 წამით უსწრებდა ესტონეთს და გერმანიას, იტალია კი უფრო ჩამორჩა, მაგრამ თავისუფალ სტილზე გადასვლისთანავე აპენინელი პიერ კოტრერი თოკიდან აშვებული ბუღასავით გაქანდა და სულ მალე გაუსწრო ესტონელ და გერმანელ კონკურენტებს, ხოლო მე-7 კილომეტრზე ნორვეგიელ კრისტენ სკიელდალსაც გაუსწრო. კოტრერი პერპეტუმმობილე არ გახლავთ და ბოლო კილომეტრებზე ადამიანურად მოეშვა, მაგრამ იმდენი კი მოახერხა, რომ სკიელდალი მეტისმეტად არ გაეშვა წინ. მეტისმეტად კი არა, როცა ესტაფეტები ტომას ალსგაარდმა და ელეგანტურმა კრისტიან ძორძიმ [illegible] რეს, [illegible] ხევარ [illegible] მარაგში.

გაჩაღდა ბრძოლა პირველობისთვის, რომელშიც სხვა ნაკრებები აღარ ჩარეულან. ნორვეგიელი და იტალიელი მხნედ მისრიალებდნენ და დაღლა არ ეტყობოდათ. ბოლო ბორცვის წვერზე ჯერ ძორძი და მერე ალსგაარდიც... გაჩერდნენ.

„ბოლო კილომეტრზე ზურგში ყოფნა უფრო სარგებლიანია — აუხსნა ალსგაარდმა ჟურნალისტებს — მეტოქეს წამდაუწუმ კისერი ელრიცება და ძვირფას წამებს კარგავს. ეს გარემოება ორივემ ვიცოდით, მაგრამ როცა გაჩერება სულელურ სანახაობად იქცა, რა გვექნა, ისევ დავიძარით".

ალსგაარდის საფინალო სპრინტმა ძორძი გატეხა, სხვაობა მხოლოდ 0,3 წამი იყო და ასე არ მოხდა ნაგანოშიც? ოღონდ იქ ალსგაარდმა კიდევ ნაკლებით, 0,2 წამით გაუსწრო აპენინელ მეტოქეს.

იტალიელებს ვერცხლის მედლებიც ძალიან გაუხარდათ — ძორძი კარგა ხანს ვილაცეებზე ამხედრებული ჯირითობდა.

**დავით გულუა**

**ვაჟები 4X10 კმ ესტაფეტა**

1. ნორვეგია 1:32.45,5
2. იტალია 1:32.45,8
3. გერმანია 1:33.34,5

### ბიათლონი


REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

სამხედრო ქალმა, ოლგა პილევამ დედა რუსეთის ოქრო აჩუქა

# სამგზის ოლე!

## რუსულად სამღერი: თუ ქალი გთხოვს

**ოლგა** პილევას სამსახურში დაწინაურების შანსი მიეცა. ნოვოსიბირსკის არმიის სპორტული კლუბის წევრი ჯარში 5-წლიანი სამსახურის შემდეგ შეიძლება ლეიტენანტი გახადონ. კლუბის შემადგენლობა კი არა, მგონი, მთელი ციმბირის ოფიცრობა ამას ითხოვს და ძნელად, რომ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა წარდგენა არ დააკმაყოფილოს.

ყველაფერი კი სოლტ ლეიკ სიტიში პილევას 10 კილომეტრზე სრიალს და გზადაგზა სროლას მოჰყვა. 26 წლის რუსის გოგო პირველ საქმეში დიდი ვერაფერი ხვითო გამოდგა, მაგრამ ერთი სამიზნის გარდა ყველა დააზიანა, იმ დღეს შმაგად მოსრიალე გერმანელმა კატი ვილჰელმმა კი 4-ჯერ ააცილა, ამიტომ დარჩა მე-2 ადგილზე.

მხოლოდ მე-4 იყო ლივ გრეტე პუარე, ვინც გასული კვირის ვიცე-ჩემპიონი და რაფაელ პუარეს მეუღლეა, ხოლო რაფაელ პუარე შაბათს გახდა ვიცე-ჩემპიონი და ახლა ცოლ-ქმარს თითო ვერცხლის მედალი მიაქვს სახლში, თუ კიდევ არ მიამატეს. სტატისტიკა ბრძანებს, რომ პუარეები პირველი ინტერნაციონალური ოჯახური წყვილია, რომელმაც ერთ ოლიმპიადაზე მედლები მიიღო. რაფაელი ფრანგი გახლავთ, ლივ გრეტე — ნორვეგიელი. და ნორვეგიელის გახსენებაზე: ვაჟთა რბოლა-სროლა მოიგო ისევ და ისევ ვიკინგმა, ოლე ეინარ ბიორნდალენმა და ესეც ჰეთ თრიკი. ბიორნდალენს ჯერჯერობით ერთი ოქროც არ დაუთმო და წინ ესტაფეტა ელის, სადაც თავისი ნაკრების შანსებს სკეპტიკურად აფასებს, ამ საქმის დილოსტატები უფრო გერმანელები არიანო. მოგახსენებთ, რომ ჩვენგან განხილული ბიათლონის პოდიუმის მე-3 საფეხურზე სწორედ გერმანელი სალდათი, 31 წლის რიკო გროსი შედგა, რომელიც გერმანულ საესტაფეტო მიღწევათა აქტიური მონაწილეა. კერძოდ, იგი ერია იმ კვარტეტში, რომელიც სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახლავთ.

**დავით გულუა**

**ვაჟები 12 კმ გამოდევნება**

1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) 32.34,6
2. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) +43,0
3. რიკო გროსი (გერმანია) +56,0

**ქალები 10 კმ გამოდევნება**

1. ოლგა პილევა (რუსეთი) 31.07,7
2. კატი ვილჰელმი (გერმანია) +5,3
3. ირინა ნიკულჩინა (ბელარუსი) +8,1

### ციგურაობა


REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

კრის უიტიმ ავადმყოფობას აჯობა

# დამღალეს თეთრმა ტრეკებმა

**ამერიკელმა** კრის უიტიმ 1000 მეტრზე ციგურაობა მსოფლიოს რეკორდით მოიგო და გაუკვირდა.

„წესით, ასეთი შედეგი ჯანმრთელსაც ვერ უნდა მეჩვენებინა, არამცთუ ნაავადმყოფარს" — უთხრა ეიფორიაში მყოფმა უიტიმ მასმედიას.

მოციგურავეს დაღლილობის სინდრომი სჭირდა, იშვიათი ავადმყოფობა, რომელიც ერთი თვის წინ დაუდგინეს. ამის მიუხედავად, ყინულის ტრეკზე მას არაფერი შესტყობია. უიტის 500 მეტრის ოლიმპიური ჩემპიონი, კანადელი ლი მეი დოუნი შეუწყვილეს და გზის პირველი ნახევარი ერთობ თანაბარ ბრძოლაში გაილია, მაგრამ დასკვნითი 400 მეტრი ამერიკელისა გახლდათ. დოუნის შედეგმა მხოლოდ მე-9 ადგილისთვის იკმარა.

უიტის კოლექციაში ახლა სამივე ხარისხის თითო მედალი ირიცხება: ნაგანოში იგი 1000 მეტრზე ვიცე-ჩემპიონი გახდა, 1500-ზე ბრინჯაო მოიგო.

**დავით გულუა**

**ქალები 1000 მეტრი**

1. კრის უიტი (აშშ) 1.13,83 (მსოფლიო რეკორდი)
2. საბინე ფოელკერი (გერმანია) 1.13,96
3. ჯენიფერ როდრიგესი (აშშ) 1.14,24

### სამთო თხილამურობა

**16 თებერვალს** ვაჟთა სუპერგიგანტი ნორვეგიელმა კეტილ ანდრე აამოდტმა მოიგო (ოლიმპიადების და მსოფლიოს ჩემპიონატების რაგინდარა მედალი 17 გაუხდა), მე-2 ადგილი ავსტრიელმა შტეფან ებერჰარტერმა დაიკავა, ვინც მსოფლიოს თასის ლიდერია და სოლტ ლეიკ სიტიში ოქროს ჯერ კერ შესწვდა. გარდა ამისა, მომდევნო დღის ქალთა სუპერგიგანტში ვიცე-ჩემპიონი გახდა იანიცა კოსტელიჩი — მთელი ეს ამბები იმგვარია, გაზეთების პირველ გვერდებზე გამოსატანად ნაკლებად ივარგებს, მაგრამ ინებეთ მშვენიერი სენსაცია: იგივე ქალთა სუპერგიგანტი მოიგო მსოფლიოს თასის მხოლოდ მონაწილე დანიელა სესარელიმ იტალიიდან, ვინც კოსტელიჩს მხოლოდ 0,05 წამით გაუსწრო, მაგრამ გაუსწრო...

იტალიას მასობრივად ჩემპიონები არ ჰყოლია, მაგრამ საკმარისია, გავიხსენოთ ალბერტო ტომბა და დებორა კომპანიონი, რომელთაც თავის დროზე ბარე ორი ვერ აჯობებდა. 1988 წლის კალგარის ოლიმპიადიდან მოყოლებული, ტომბა ყველა ფრონტზე ხვეტდა ჯილდოებს (3 ოლიმპიური ოქრო, 2 ვერცხლი, მსოფლიოს თასის 50 ეტაპი), კომპანიონიც სამგზის ოლიმპიური ჩემპიონია და საინტერესო რა არის, იცით? ტომბა არ ყოფილა, ასე ვთქვათ, მთების შვილი, ბოლონიის ახლოს დაიბადა, სადაც ფეხბურთია ყველაფერი.

დაახლოებით იგივე სიტუაციაში იყო სესარელიც. წარმოშობით რომაელია, უფრო ზუსტად, პატარა როკა პრიორაში დაიბადა მარადიული ქალაქის სიახლოვეს, სადაც თოვლი ძლიერ ნაკლებად მოდის. მამა თოვლის გიჟი ჰყავდა და ბავშვები კარგა მოშორებით, აბრუცის მთებში დაჰყავდა, სადაც რამდენიმე პატარა ზამთრის კურორტია სერიოზულ თხილამურობაში ვარჯიშის ცუდი პირობებით. უკვე 15 წლის სესარელიმ ცვლილებათა აუცილებლობა იგრძნო და გორდიას კვანძი ერთი დარტყმით გადაჭრა: მიატოვა ოჯახი და ჩრდილოეთს მიაშურა, სადაც ჭეშმარიტი სათხილამურო ბაღნარია. მშობლებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, მხოლოდ ტელეფონზე დანახარჯები მოემატათ. დედ-მამა სესარელის მხურვალედ ქომაგობდა, უფრო — მამა და აი, სესარელის სიტყვებიც უკვე ოლიმპიური ჩემპიონის პოზიციიდან:

„ჩემს გამარჯვებას მამას ვუძღვნი. სიჩქარე და ადრენალინი რომ მიყვარს, მხოლოდ მისი დამსახურებაა".

ახლა სესარელი ტურინის ჩრდილოეთით, სან სიკარიოში ცხოვრობს. ერთი კაცია მისი ქმარი და მწვრთნელიც. მოთხილამურე იმედოვნებს, რომ ოლიმპიური ჩემპიონობა მსოფლიოს თასის ეტაპებზეც სითამამეს შემატებს.

ხოლო იანიცა კოსტელიჩმა მეორე მედლის დამსახურების შემდეგ პირდაპირ განაცხადა, რომ დასამტკიცებელი დაამტკიცა და მეტი მედალი აღარც სჭირდება. „ვილაცეები ამბობენ, ტრავმების გამო კარიერას ამთავრებსო. რა სისულელეა, რა დროს წასვლაა, როცა 20 წლის ვარ. ერთი 8 წელი მაინც ვისრიალებ" — თქვა კოსტელიჩმა სხვათა შორის.

**დავით გულუა**

# ისინი ავიდნენ მთაში


REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

მოულოდნელად გამარჯვებულ სესარელის გვერდი თვისტომმა კარინ პუტცერმა და ხორვატმა იანიცა კოსტელიჩმა დაუმშვენეს

**სუპერგიგანტი**

**ქალები**

1. დანიელა სესარელი (იტალია) 1.13,59,
2. იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 1.13,64,
3. კარინ პუტცერი (იტალია) 1.13,86

**ვაჟები**

1. კეტილ ანდრე აამოდტი (ნორვეგია) 1.21,58
2. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 1.21,68
3. ანდრეას შიფერერი (ავსტრია) 1.21,83

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

# მდაა, ესეც შენი კანადა!

## შვედებმა უკვე ყველა შეაშინეს

15 თებერვალი

### C ჯგუფი

**კანადა 2:5 შვედეთი 1:1 0:4 1:0**

**1:0 ბლეიკი (3), 1:1 სუნდინი (6), 1:2 სუნდსტრიომი (27), 1:3 სუნდინი (31), 1:4 კ. იუნსონი (32), 1:5 დალინი (36), 2:5 ბრიუერი (56)**

მატჩის მეორე პერიოდში ყველაზე მეტად შესაბრალისი კანადელთა გენერალური მენეჯერი, სახელოვანი უეინ გრეცკი იყო. რა არ უნახავს „დიადს" თავის ბრწყინვალე კარიერაში, მაგრამ ასეთი შერცხვენილი კანადა — არასოდეს. შვედებმა ისეთი სპექტაკლი გამართეს, რომ ჰოკეის მომგონი კანადელები საკუთარი უსუსურობის შეგრძნებამ გატეხა და აკი ოთხი უპასუხო გოლიც მიიღეს. თან რა გოლები, ერთიმეორეზე ლამაზი. განსაკუთრებით შთამბეჭდავი მეოთხე შაიბა გამოდგა. ჯერაც ევროპაში მოასპარეზე ჰენრიკ ზეტერბერგმა დაცვა დაიბრიყვა და ჩინებული პასით კენი იუნსონს გაატანინა ცარიელ კარში. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, სკანდინაველებმა მრისხანე მეტოქეს, ფაქტობრივად, ორი გოლი გაატანინეს, თუმც ერთი მსაჯებმა არ ჩათვალეს.

**ჩეხეთი 8:2 გერმანია 3:0 3:1 2:1**

**1:0 იაგრი (4), 2:0 პ. სიკორა (14), 3:0 შეიდუკი (17), 4:0 ჰავლატი (28), 4:1 სოკიო (29), 5:1 ლანგი (34), 6:1 იაგრი (39), 6:2 უშტორფი (48), 7:2 ელიაში (54), 8:2 რაიხელი (59)**

ოლიმპიურმა ჩემპიონებმა მთელი შეხვედრა ისე ჩაატარეს, თითქოს კარგა ხანია, სოლტ ლეიკ სიტიში იმყოფებიან და ერთმანეთსაც საუცხოოდ შეეწყვნენ. პირველივე პერიოდში სამი უპასუხო შაიბა აღმოჩნდა გერმანელთა კარში. სხვა დროს ჩეხები ამის შემდეგ დაცვაში ჩასაფრდებოდნენ და იოლად შეინარჩუნებდნენ უპირატესობას, მაგრამ ამჯერად მათ ბოლო წუთებამდე არ მოისვენეს და ბოლომდე გაანადგურეს მეტოქე. ყველაზე აქტიური კი იარომირ იაგრი იყო (2 გოლი და 1 პასი)

### D ჯგუფი

**რუსეთი 6:4 ბელარუსი 3:1 1:2 2:1**

**1:0 სამსონოვი (2), 1:1 ანტონენკო (9), 2:1 ჟამნოვი (18), 3:1 კოვალჩუკი (20), 4:1 იაშინი (26), 4:2 ხმილი (27), 4:3 კალიუჟნი (35), 5:3 მირონოვი (43), 6:3 ფიოდოროვი (45), 6:4 სალეი (59)**

რუსების გამარჯვება, ცხადია, ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ მათ საამისოდ მოსალოდნელზე მეტი ძალისხმევა დასჭირდათ, რაც საკუთარ შეცდომებს უნდა დააბრალონ. 4:1-ზე რუსებმა ტემპი დააგდეს და უსაფუძვლო ჯარიმებით მეტოქეს შანსი მისცეს, ბელარუსებმაც ისარგებლეს ამით და მეორე პერიოდის ბოლოს ლამის გაათანაბრეს. მესამე პერიოდში ფავორიტებმა კვლავ უმატეს ტემპს და ცოტა ხანში აღადგინეს კიდეც სამშაიბიანი უპირატესობა.

**აშშ 6:0 ფინეთი 0:0 3:0 3:0**

**1:0 იანგი (36), 2:0 ლეკლერი (37), 3:0 ტკაჩუკი (38), 4:0 ლეკლერი (47), 5:0 ლეკლერი (52), 6:0 გერინი (55)**

ფინელებმა ფხიზლად დაიწყეს თამაში და მთელი პირველი პერიოდის განმავლობაში იგერიებდნენ მასპინძლების მძლავრ, ოღონდ ოდნავ სწორხაზოვან შეტევებს. მეორე მესამედში კი გათამამდნენ და ერთი-ორჯერ ანგარიშის გახსნაც შეეძლოთ, მაგრამ სწორედ იმ მომენტში ამერიკელებს ბრწყინვალე კონტრშეტევა გამოუვიდათ, რომელიც სკოტ იანგმა დააგვირგვინა. ამის შემდეგ ფინელები რატომღაც მოდუნდნენ და შესვენებამდე მათ კარში კიდევ ორი შაიბა აღმოჩნდა. მესამე პერიოდში ამერიკელებმა ანგარიშში სხვაობა ფინელებისთვის სამარცხვინო გახადეს, თანაც ჯონ ლეკლერმა ჰეთ თრიქი შეასრულა.

17 თებერვალი

### D ჯგუფი

**რუსეთი 2:2 აშშ 0:1 1:1 1:0**

**0:1 ტკაჩუკი (27), 1:1 ვ. ბურე (38), 2:1 ფიოდოროვი (43), 2:2 ჰალი (56)**

წინა მატჩებისგან განსხვავებით, ამერიკელებს ეგრევე პრესინგ-შეტევები არ დაუწყიათ. ვერ გაბედეს, რადგან მეტოქემ თავიდანვე გამოაჩინა კბილები. თამაშს უფრო ფრთხილი ეთქმოდა, თუმც საგოლე მომენტების შექმნა „პროფებს" არ გასჭირვებიათ. პირველი გოლი მასპინძლებმა ორკაციან რიცხვმრავლობაში გაიტანს. ვლადიმირ მალახოვმა და ილია კოვალჩუკმა წესი დაარღვიეს, მაგრამ მერე შეცდომა გამოასწორეს — ჯერ მალახოვის პასის შემდეგ უმცროსმა ბურემ, ვალერიმ გაათანაბრა, შემდეგ კი კოვალჩუკი სერგეი ფიოდოროვს დაეხმარა. ამ მომენტისთვის რუსები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ შემდეგ რატომღაც განერვიულდნენ, დაცვაში შეცდომები დაუშვეს და ამას ბრეტ ჰალის გოლი მოჰყვა.

**ფინეთი 8:1 ბელარუსი 3:0 3:0 2:1**

**1:0 იოკინენი (2), 2:0 სელიანე (15), 3:0 იოკინენი (17), 4:0 სელიანე (25), 5:0 კაპანენი (26), 6:0 კალიო (30), 6:1 ვ. პანკოვი (44), 7:1 ბერგი (50), 8:1 ელორანტა (55)**

ამერიკელებთან სამარცხვინო მარცხის მერე ფინელებმა ჯავრი ბელარუსებზე იყარეს. რუსებისგან განსხვავებით, ისინი იოლ მეტოქეს კატათაგვობანას როდი ეთამაშნენ, სერიოზულად მოჰკიდეს საქმეს ხელი და ბელარუსებს მხოლოდ ბოლო მესამედში გაატანინეს, როცა ფინელთა უპირატესობა ეჭვს აღარ იწვევდა.

18 თებერვალი

**შვედეთი 2:1 ჩეხეთი 1:0 1:1 0:0**

**1:0 კ. იუნსონი (5), 2:0 სუნდინი (26), 2:1 დოპიტა (31)**

სკანდინაველებმა ჯგუფში მეორე მრისხანე მოწინააღმდეგესაც მოუგეს და პირველი ადგილი გაინაღდეს. მათმა სათამაშო ტაქტიკამ სრულად გაამართლა. ჩეხებთან თამაშისას მეტოქე უნდა ცდილობდეს, თავიდანვე დაწინაურდეს. სწორედ ეს მოახერხეს შვედებმა, როცა მეტოქის პირველივე ჯარიმა გამოიყენეს. ხოლო როდესაც მათს სუნდინმა დომინიკ ჰაშეკს ერთადერთი შეცდომა არ აპატია, ნათელი გახდა, რომ ოლიმპიურ ჩემპიონებს გაუჭირდებოდათ. მართალია, ერთი გოლი მათ მალევე გაქვითეს, მაგრამ დარჩენილ 30 წუთში ანგარიში აღარ შეცვლილა. ამის მიუხედავად, თამაში ძალიან საინტერესო იყო და ორივე გუნდმა კვლავაც დაამტკიცა, რომ ამ ტურნირზე ფავორიტების არც ერთი მატჩი მოსაწყენი არ იქნება. ჰაშეკმა და კიდევ უფრო ბრწყინვალედ მოასპარეზე შვედმა ტომი სალომ კარი მოაჯადოვეს, ერთი-ორჯერ კი ძველი ნათქვამიც გამართლდა — ძელი მეკარის საუკეთესო მეგობარია.

**კანადა 3:2 გერმანია 0:0 3:0 0:2**

**1:0 საკიკი (29), 2:0 კარია (35), 3:0 ფუტი (39), 3:1 ლოტი (48), 3:2 ჰეხტი (54)**

ესეც გერმანია! შვედებთან ფიასკოს შემდეგ კანადელები ამჯერადაც მკრთალად გამოიყურებოდნენ და ბედს უნდა უმადლოდნენ, რომ ბოლო პერიოდში შეძლეს მინიმალური უპირატესობის შენარჩუნება.



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

გერმანელები რაიან სმიტსაც (№94) და სხვა კანადელებსაც მაგრად დაუხვდნენ

## ციგურაობა

**ვაჟები** 1000 მეტრი

1. ჯერარდ ვანველდე (ჰოლანდია) 1.07,18 (მსოფლიო რეკორდი)
2. იან ბოსი (ჰოლანდია) 1,07,53
3. ჯოი ჩიკი (აშშ) 1.07,61

## ორჭიდი

**4X5 კმ გუნდური ესტაფეტა**

1. ფინეთი 48.42,2
2. გერმანია 48.49,7
3. ავსტრია 48.53,2

## ბობსლეი

**ვაჟები** ორკაცა

1. კრისტოფ ლანგენი, მარკუს ციმერმანი (გერმანია) 3.10,11
2. სტივ ანდერჰუბი, კრისტიან რეიხი (შვეიცარია) 3.10,20
3. მარტინ ანენი, ბეატ ჰეფტი (შვეიცარია) 3.10,62

## შორტ ტრეკი

**ქალები** 500 მეტრი

1. იანჯ იანკი (ჩინეთი) 44,187
2. ევგენია რადანოვა (ბულგარეთი) 44,252
3. ჩუნლუ ვანკი (ჩინეთი) 44,272

**ვაჟები** 1000 მეტრი

1. სტივენ ბრედბერი (ავსტრალია) 1.29,109
2. აპოლო ანტონ ონუ (აშშ) 1.30,160
3. მეთიუ ტურკოტე (კანადა) 1.30,563



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

სტივენ ბრედბერი

## ფიგურული სრიალი

# ყველამ დაიკიდა

## SALE % ფიგურულ სრიალში ოქრო და მსაჯები გაიაფდნენ



სადავო და საწუწუნო აღარაფერია, ოქრო ყველას ერგო: ბერეჟნაია-სიხარულიძესაც (მარცხნივ) და სალე-პელეტიესაც

**ოლიმპიადის** უმთავრესი სკანდალი კვირას აი ეგრე ჩახუტებითა და ჩატკბარუნებით გასრულდა. კანადურ წყვილს — ჟამი სალესა და დავიდ პელეტიეს რუსთა, ელენა ბერეჟნაიასა და ანტონ სიხარულიძის ბადალი ოქროები დაუმზადეს და გუშინწინ დიდი ტაშ-ფანდურისა და ჟრიამულის თანხლებით ყელზეც შეაბეს.

წყვილთა ცქერა ერთ რამედ ღირდა — ერთი კვირის განმავლობაში ლამის მოსისხლე მტრებად ქცეულთ თითქოს ერთმანეთთან სიამტკბილობის გარდა არაფერი სურდათ. ვინ იცის, ეგებ მართლაც გულწრფელები იყვნენ... ანდა, ვინ იცის, ეგებ საერთო საქმისთვის სწორედ ეგრე სჯობდეს — იქნებ არაგულწრფელად, მაგრამ მაინც ღიმილით და რამე-რუმით.

მოკლედ, ახლა ყველა კმაყოფილია.

ხოლო როგორც ციგურაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ოტავიო ჩინკვანტა ამბობს, ის და მისი ამქარი ამიერიდან ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ, რათა უკმაყოფილების საბაბი აღარავის მიეცეს.

როგორ?

— სამსაჯო სისტემის საფუძვლიანი გადახალისებით!

**გონდო გუდაური**

# ნუხელ

## ბიათლონი

**ქალები**

4X7,5 კმ გუნდური ესტაფეტა

1. გერმანია 1.27:55
2. ნორვეგია 1.28:25,6
3. რუსეთი 1.29:19,7

## ტრამპლინიდან ხტომა

K 120 გუნდური

1. გერმანია 974,1
2. ფინეთი 974
3. სლოვენია 946,3

## ფრისტაილი

**ქალები**

საჰაერო

1. ალისა კამპლინი (ავსტრალია) 193,47
2. ვერონიკა ბრენერი (კანადა) 190,02
3. დეიდრა დიონე (კანადა) 189,26



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

ალისა კამპლინი

## ქვეყანათა მონაგარი

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| გერმანია | 8 | 10 | 6 | 24 |
| აშშ | 4 | 7 | 7 | 18 |
| ნორვეგია | 8 | 6 | 0 | 14 |
| ავსტრია | 1 | 3 | 9 | 13 |
| რუსეთი | 4 | 4 | 3 | 11 |
| იტალია | 3 | 2 | 2 | 7 |
| კანადა | 2 | 1 | 4 | 7 |
| ფინეთი | 3 | 2 | 1 | 6 |
| შვეიცარია | 3 | 1 | 2 | 6 |
| საფრანგეთი | 2 | 3 | 1 | 6 |
| ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 4 |
| შვედეთი | 0 | 1 | 2 | 3 |
| ჩინეთი | 1 | 0 | 2 | 3 |
| ბულგარეთი | 0 | 1 | 2 | 3 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 0 | 2 |
| ავსტრალია | 2 | 0 | 0 | 2 |
| კორეა | 1 | 1 | 0 | 2 |
| ხორვატია | 1 | 1 | 0 | 2 |
| ესტონეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| იაპონია | 0 | 1 | 1 | 2 |
| პოლონეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| ჩეხეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| სლოვენია | 0 | 0 | 1 | 1 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# ქართველების მოგზაურობა წარსულში



ბადრი კეთილაძის ფოტო

აქცენტი გიორგაძე: პორტუგალიელებიც ჰოლანდიელებივით ბევრს, მაგრამ ამაოდ ეჭიდავენ

**შაბათს** ლისაბონში საქართველოს ნაკრებმა პორტუგალიელი „ლობოსები“ (ლომები) დაამარცხა და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა მსოფლიო თასის ფინალური ეტაპისკენ სავალ ძნელ გზაზე. ამასთან შარშანდელ და წლევანდელ ერთა თასზე ანუ მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირზე აგერ უკვე მეშვიდე მატჩია, ბორჯღალოსნები წაუგებლები არიან. არადა, შაბათს ერთა თას თამაშებაში საქართველოს ნაკრები ისე ახლოს იყო მარცხთან, როგორც არასდროს, მაგრამ ჩვენებმა ლამის წაგებული მატჩი სათავისოდ შეაბრუნეს.

გამარჯვებებს დაჩვეული ბორჯღალოსნები თავიდან ზერელედ მოეკიდნენ მაჩანჩალა პორტუგალიას. ოლედანზე არხეინად გავიდნენ, რითაც კინაღამ თავი მოეჭრათ კონტინენტის კიდეზე. ცალკე სათქმელია კლოდ სორელის არჩეული შემადგენლობა. დამწყები თხუთმეტი კაცი ოპტიმალური ვარიანტი კი გახლდათ, მაგრამ გასათვალისწინებელი იყო სხვა გარემოებებიც. სორელმა ძირითადში დააყენა ექვსი თვის უთამაშებლები და ახალნაოპერაციები ირაკლი აბუსერიძე და ვასილ კაცაძე, ტრავმირებულ ილია ზედგინიძეს კი ზურაბ მჭედლიშვილი ჩაანაცვლა. მჭედლიშვილიც, კაცაძეც და აბუსერიძეც ერთობ რიგიანი მორაგბეები არიან, თუმც შაბათს აშკარად ემჩნეოდათ საკმაო ხნის უთამაშებლობა.

დღეს რაგბიში საკუთარ შერკინებას და დერეფანს თითქმის ყველა გუნდი, იგებს. ბურთის მოპოვების ძირითადი წყაროც სტანდარტული მოგომარეობებია. მატჩის დებიუტში კი ჩვენმა მორაგბეებმა ჩვენივე დერეფანში მასპინძლები ანავარდეს. შედეგად ბურთიც მეტწილად მათი იყო და თამაშის რიტმსაც ისინი კარნახობდნენ. ტაქტიკურად პორტუგალიელებს ახალი არაფერი შეუთავაზებიათ ქართველებისთვის, პირიქით, პრაგმატულ, გარკვეულწილად კონსერვატიულ რაგბის თამაშობდნენ — ბურთის აუტში გადაგდება, იქ დერეფნის მოგება და ახალი შეტევის დაწყება. ერთი-ორჯერ საკუთარი ნახევრიდანაც შეუტიეს ბორჯღალოსნებს.

მეტოქეებს სალამიც არ დაესრულებინათ, მასპინძლებმა ქართველები ორჯერ რომ დაალელოვეს. პირველად ჩვენივე აუტისას იხეირეს, მეორედ კი მაშინ, როდესაც ქართველთა დაცვას პაულუ გონსალვეში გაექცა. უკვე მე-6 წუთისთვის საქართველოს ნაკრები 0:12 აგებდა, ტომით ავსტრალიელ როან ჰოფმანმა ორიდან ერთი გარდასახვაც გაიტანა. მართალია, მალევე ბადრი ხეხელაშვილმა მარდად შემოურბინა „ლობოსების“ უკანა ხაზს და ლელოსაც უწია, ცოტა ხანში კი მეორე გარემარბმა მალხაზ ურჯუკაშვილმა ბარე ოთხი პორტუგალიელი მოიტოვა, მაგრამ ანგარიშში წინ კვლავ პორტუგალია იყო, ვინაიდან ამ ორ ლელოს შორის გონსალუ ვარეირუმ გაუტანა ერთი ლელო ქართველებს. ჩვენ კი რაღა? რა და, ბორჯღალოსნებმა ისევ ის დროება გაიხსენეს, კედელზე შუბლით მისვლა რომ ჰქვია. ჩვენი მორაგბეები ჯიქურ ცდილობდნენ მეტოქის დაცვის გარღვევას, რაც აშკარად არ გამოსდიოდათ, და კიდევ: იყო მომენტები, როდესაც ჩვენებს არეკნით შეეძლოთ, გოლი გაეტანათ, თუმც ეს აზრადაც არავის მოსვლია. სამაგიეროდ, ჰოფმანმა გაისროლა ზუსტად და ტაიმი მასპინძლებმა 20:12 მოიგეს.

შესვენებაზე სორელს გვარიანად შეუხურებია შეგირდები. ინერტული აბუსერიძის მაგივრად შოთა მოდებაძე შეუშვა, ვიქტორ დიდებულიძე ტარიელ რატიანიძით შეცვალა და საქართველოს ნაკრებმა ფერი იცვალა. პორტუგალიელთა უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრა. ბორჯღალოსნებმა მეტოქეს აჯობეს ხელით თამაშით, სწრაფად გადაწყობით და მწყობრი, აგრესიული მოქმედებით დაცვაში. საქართველოს ნაკრების ნახევარდაცვა და სამმეოთხედელები უფრო ეფექტურად უტევდნენ, ამას დაუმატეთ თანამედროვედ მობურთალი მორკინალების (გიორგაძე, ცაბაძე) სამ-ოთხ ფაზიანი შეტევები.

ჩვენი ჰუქერი აქცენტი გიორგაძე კი მართლაც საუკეთესო იყო. ორი საუცხოო ლელო გაუტანა მეტოქეებს. ჯიმშელაძის გარდასახულს ცოტა ხანში ურჯუკაშვილმა ჯარიმა დაურთო და პირველად ამ მატჩში წინ საქართველო გავიდა — 27:23. სწორედ აქ დაუდგათ ჩვენს მორაგბეებს ცუდი დროება. მთავარმა მსაჯმა, ფრანგმა პრიუვომ მატჩის დასრულებამდე თხუთმეტიოდე წუთით ადრე ორი მორაგბე, რატიანიძე და მაგრაქველიძე ათ-ათი წუთით გააგდო და ქართველობა 13 კაცით დატოვა. პორტუგალია მაგრად მიეძალა ბორჯღალოსანთა ლელოს. ტაიმის ბოლოსკენ მეტოქემ გაშლილი თამაშით სცადა შეხვედრის სათავისოდ შებრუნება, მაგრამ ტექნიკური წუნის გამო ხელი მოეცარა. წუნი და შეცდომა კი გუნდს მაშინ მოსდის, როდესაც მოწინააღმდეგის დაცვა მწყობრად და ტაქტიკურად გამართულად თამაშობს. ბორჯღალოსნები ასე საფინალო სასტვენამდე იდგნენ და მეტოქეს მატჩის გადარჩენის საშუალება არ მისცეს.

ნამატჩევს, როდესაც ემოციები ჯერ კიდევ არ განელებულიყო, პორტუგალიაში დავუკავშირდით საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტს ბიძინა გეგიძეს და ბორჯღალოსანთა კაპიტან ლევან ცაბაძეს.

**ბიძინა გეგიძე:**

— პორტუგალიასთან ტრადიციულად გვიჭირს ლაღი და გაშლილი თამაში. მასპინძლები სერიოზულად მოეკიდნენ ამ შეხვედრას. ერთი კვირით ადრე შეიკრიბნენ და ნაყოფიერად ივარჯიშეს. მსაჯმაც ბევრი შესცოდა. ბიჭებმა მითხრეს, რაქში, მოლში და შერკინებაში პორტუგალიელები წესებს ხშირად არღვევდნენო, რაზეც პრიუვო თვალს ხუჭავდა, მაგრამ ჩვენი ცუდი თამაშის მარტო მსაჯზე გადაბრალება უსამართლობაა. ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს, ამას ნამდვილად ვერ უარვყოფთ და თითქმის წაგებული მატჩი მოიგეს, თანაც ნუ დაივიწყებთ, ბოლო ათი წუთი ორკაცნაკლულნი ვიყავით.

**ლევან ცაბაძე:**

— პირველ ტაიმში ძალიან ცუდად ვითამაშეთ, დაახლოებით ისე, ხუთიექვსი წლის წინათ რომ ვთამაშობდით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვასილ კაცაძეს და ირაკლი აბუსერიძეს თითქმის ექვსი თვეა, არც უვარჯიშიათ და უცბად ძირითადში დაიწყეს მატჩი. თანაც აქ თამაშამდე ორი დღით ადრე ჩამოვედით, ნორმალურად ერთხელ ვივარჯიშეთ. კარგი იქნებოდა, რაგბის კავშირს სამდღიანი შეკრება მაინც გაეხერხებინა, გაჭირდა ადაპტაციაც, ყველაფერმა ამან ჩვენს მზადყოფნაზე იმოქმედა. აი, მეორე ტაიმში კი სულ სხვა რაგბი ვითამაშეთ. ცოტა განერვიულეთ, მაგრამ მთავარია, მოვიგეთ. ეს ჩვენთვის ჭკუის სასწავლებელი იქნება.

**ბაჩო სვანიძე**

ევროპის ერთა თასი. მეორე ტური

## პორტუგალია 23:27 საქართველო

16 თებერვალი. ლისაბონი

**საქართველო:** ხამაშურიძე, ურჯუკაშვილი, ზიბზიბაძე, კაცაძე (ალანია), ხეხელაშვილი, ჯიმშელაძე, აბუსერიძე (მოდებაძე); [illegible] ლიშვილი, გიორგაძე, ცაბაძე (კამ), ნადირაძე (რატიანიძე), დიდებულიძე (მაგრაქველიძე), [illegible]
**4 ლ.:** ხეხელაშვილი, ურჯუკაშვილი, გიორგაძე (2); **2 გ.:** ჯიმშელაძე; **1 ს.:** ურჯუკაშვილი
**პორტუგალია:** **3 ლ.:** აგელარი, გონსალვეში, ვალეირუ; **1გ.:** ჰოფმანი; **2 ს.:** ჰოფმანი
**მსაჯი:** პრიუვო (საფრანგეთი)

16 თებერვალი.
კონსტანცა. „ფარული“.

**რუმინეთი 34:12 ესპანეთი**

**რუმინეთი:** 5ლ: ბალანი, ლონტინია, [illegible] ტრაჩე, ტოფანი, ტონიცე; 3გ: ტოფანი; 1ს: ტოფანი.
**ესპანეთი:** 2ლ: რ. რიპოლი, ო. რიპოლი; 1გ: მარტინესი

16 თებერვალი.
კრასნოდარი. „დინამო“.

**რუსეთი 73:10 ჰოლანდია**

**რუსეთი:** 10ლ: რაჩკოვი, დიატლოვი, სიმონოვი (2), ილარიონოვი, ბუდნიკოვი (2), [illegible]რგეევი, ფედჩენკო (2); 7გ: სიმონოვი ზუკოვი (3); 3ს: სიმონოვი, ზუკოვი(2);
**ჰოლანდია:** 1ლ: კულემანსი; 1გ: მეიკე; 1ს: [illegible]

| ევროპის ერთა თასი 2002 | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | + 92 | 4 |
| რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | + 49 | 4 |
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | + 73 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 0 | 2 | - 32 | 0 |
| პორტუგალია | 2 | 0 | 0 | 2 | - 31 | 0 |
| ჰოლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | - 151 | 0 |

| 2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 7 | 7 | 0 | 0 | + 191 | 14 |
| რუმინეთი | 7 | 6 | 0 | 1 | + 176 | 12 |
| რუსეთი | 7 | 7 | 0 | 2 | + 82 | 10 |
| ესპანეთი | 7 | 2 | 0 | 5 | - 42 | 4 |
| პორტუგალია | 7 | 1 | 0 | 6 | - 119 | 2 |
| ჰოლანდია | 7 | 0 | 0 | 7 | - 278 | 0 |

## ექვსი ერი 2002



REUTERS

ინგლისი — ირლანდია. ირლანდიელებს ჯო უორსლისგანაც მოხვდათ

# სამყურებს ყურები აახიეს

16 თებერვალი. ლონდონი. თვიქნემი

**ინგლისი 45:11 ირლანდია**

**ინგლისი:** 6ლ: უილკინსონი, კოენი, გრი[illegible]დი (2), უორსლი, კეი; 6გ: უილკინსონი; 1ს: უილკინსონი
**ირლანდია:** 1ლ: ოგარა; 2ს: ჰემფრიზი.

კაცი რომ საკუთარ თავს დაპართებს, მტერი ვერ უზამსო, ნათქვამია. სწორედ ასეა ირლანდიელთა საქმე. აბა, რას ედიდგულებოდნენ ინგლისელებს, თვიქნემში იქნება, თქვენს „ვარდებს“ ერთიანად რომ მოვაშთობთო. ამით მხოლოდ მიძინებული ვულკანი გამოაფხიზლეს და საკადრისი პასუხიც მიიღეს: „სამყურები“ მართლაც სარეველა ბალახივით ამოძირკვეს „ვარდებმა“.

ირლანდიელთა რბევა დაიწყო კლაივ ვუდვორდის ნებიერამ, ჯონი უილკინსონმა, ინგლისელთაგან საუკეთესომ და 20 ქულის მომხვეჭმა. უილკინსონს მხარი კოენმა და გრინვუდმაც აუბეს და აკი დაწიოკდა კიდეც სტუმართა დაცვა.

ინგლისელებს ჟინი არც მეორე ტაიმში განელებიათ და „თვიქნემზე“ შეკრებილთა გულის მოსაფხანად გაყოყოჩებული მეტოქე მიწასთან გაასწორეს.

16 თებერვალი. კარდიფი. მილენიუმი

**უელსი 33:37 საფრანგეთი**

**უელსი:** 3ლ: ქუინელი, ბუჯეტი, მორგანი; 3გ: ჯონსი; 4ს: ჯონსი
**საფრანგეთი:** 3ლ: მარში (2), რეჟერი; 2გ: მერსერონი; 5ს: მერსერონი (4), ტრალე; 1ს: ტრალე

შეხვედრა ფრანგების უპირატესობით დაიწყო. მათ რამდენჯერმე შედეგიანად შეუტიეს და ტაიმიც თავიანთ სასარგებლოდ, 24:19 დაასრულეს.

მეორე ნახევარშიც ფრანგები ლიდერობდნენ, მასპინძლები კუდში მისდევდნენ. ერთხანს სტუმრები 11 ქულითაც დაწინაურდნენ, როდესაც მერსერონმა მოზომილი აბრაგანი ამოჰკრა, თუმც მატჩის მიწურულს ფრანგები მოეშვნენ და კევინ მორგანს ანგარიშში სხვაობა შეამცირებინეს.

16 თებერვალი. რომი

**იტალია 12:29 შოტლანდია**

**იტალია:** 4ს: დომინგესი
**შოტლანდია:** 2 ლ: ლანეი, თაუნსენდი; 2 გ: ლანეი 5 ს: ლანეი

იტალიელთა დამრიგებელ ბრედ ჯონსტონს, მატჩამდე ბევრს რომ ბაქიბუქობდა, შოტლანდიელებს აუცილებლად მოვუგებთო, ნამატჩევს დანა პირს არ უხსნიდა. ფრედ დამთავრებული პირველი ტაიმის (9:9) შემდეგ „მამაცმა გულებმა“ ყოყლოჩინა მეტოქეს ის გაუკეთეს, რაც მოისურვეს. სკოტები მთელი გუნდით უტევდნენ და ტომით ახალზელანდიელი ბრენდან ლანეის და გრეგორ თაუნსენდის თავგამოდების წყალობით მალევე გატეხეს მეტოქე. ბრენდან ლანეიმ კიდევ ბევრი გაუტანა აპენინელებს და ბრედ ჯონსტონს ათქმევინა, ეგეთი კაცი რომ მყავდეს, შოტლანდიას კი არა, ბარე ბევრ ბობოლას მოვუგებდიო.

**ბათუ ხარძიანი**

| ექვსი ერი 2002 | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | + 50 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | + 25 | 4 |
| ირლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | + 10 | 2 |
| შოტლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | - 9 | 2 |
| იტალია | 2 | 0 | 0 | 2 | - 38 | 0 |
| უელსი | 2 | 0 | 0 | 2 | - 48 | 0 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გელისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი მამუკა გუგელაძე
ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge